

619
1965



ქართული
ბიბლიოთეკა



ქართული

№ 8 აგვისტო 1965

ფო ბანკის და სხვა სტრატეგიული პუნქტების დაპატრონება. „...რაც შეიძლება უფრო უეცარი და სწრაფი შეტევა პიტერზე, — მიუთითებდა დიდი ლენინი შეიარაღებული აჯანყების მთავარ შტაბს, — უსათუოდ გარედანაც და შიგნიდანაც, მუშათა უზნებინდანაც, ფინეთიდანაც, რევოლუციონარულ და კრონშტადტიდანაც... გაწესრიგდეს ჩვენი მთავარი სამი ძალა: ფლოტო, მუშათა და ჯარისკაცთა ნაწილები ისე, რომ აუცილებლად დაიკავონ და ყოველგვარი მსხვერპლის გაღებით შეინარჩუნონ: ა) ტელეფონი, ბ) ტელეგრაფი, გ) რკინიგზის სადგურები, დ) ხიდები... პიტერის გარემოცვა და მოწყვეტა, ფლოტის, მუშებისა და ჯარისკაცთა კომბინირებული იერიშებით მისი აღება — ასეთია ამოცანა, რომელიც ხელოვნებასა და სამხედრო გაბედულებას მოითხოვს“.

24 ოქტომბერს ღამით და 25 ოქტომბერს დღით, პოლიტიკური არმიების მთავარმა ნაწილებმა კომბინირებული შეტევითი გმირული ბრძოლებით, დაიკავეს სატახტო ქალაქის — პეტერბურგის ყველა სტრატეგიული პუნქტი; ვაგზოები, ფოსტა-ტელეგრაფი, ხიდები, სამინისტროები, სახელმწიფო ბანკი, ზამთრის სასახლე, დაპატიმრებული იქნა დროებითი მთავრობის თითქმის ყველა მინისტრი და სამხედრო გენერალიტეტის დიდი ნაწილი, მხოლოდ მთავრობის თავმჯდომარემ — კერენსკიმ მოასწრო ქალის ტანსაცმლის გადაცემა და ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მანქანით გაქცევა საზღვარგარეთ.

25 ოქტომბერს სახელოვანმა სამხედრო კრეისერმა „აგრორამ“ ზარბაზნების ჭეკა-ჭახილით ამცნო მთელ მსოფლიოს დიდი განთიადი, ახალი ისტორიის დასაწყისი კაცობრიობის ისტორიაში.

ამგვარად, სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიით, სტრატეგიითა და ტაქტიკით შეიარაღებული კომუნისტური პარტია ახალი ეპოქის მოწოდების სიმბოლოა აღმოჩნდა შეიარაღებული აჯანყების მომზადებისა და გატარების მთელ პერიოდში, რომელმაც ვ. ი. ლენინის გენიალური ხელმძღვანელობით ერთიან მძლავრ ნაკადად გააერთიანა საერთო დემოკრატიული მოძრაობა ზავისათვის, იმპერიალისტური ომის შეწყვეტისათვის, მტკიცე მშვიდობის დამყარებისათვის; ეს იყო სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის პრაქტიკულად განხორციელების ტრიუმფი, ლენინური სამხედრო ხელოვნების, სტრატეგიისა და ტაქტიკის გამარჯვების ტრიუმფი, რითაც დაიწყო ახალი ერა, ლენინიზმის ერა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

ცალკეულ ქვეყანაში სოციალისტური რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვების ლენინური თეორიამ, მისმა შესაბამისმა სტრატეგიამ და ტაქტიკამ, თავიანთი სიცოცხლისუნარიანობა და ღრმა მეცნიერული ღირსება საქვეყნოდ დამტკიცეს არა მარტო ოქტომბრის მრისხანე დღეებში, სამოქალაქო ომის ქარიშხლიან წლებში, სსრ კავშირში სოციალისტური საზოგადოების დიდი შენობის აშენებისათვის შემოქმედებითი შრომაში, არამედ დიდი სამამულო ომის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლებშიც, როდესაც მშობლიურმა კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა მთავრობამ ჩაშალეს ფაშისტური გერმანიისა და მისი მოკავშირეების ყველა ვარაუდი, ფოლადის კედლად შეკრეს ფრონტი და ზურგი, ფეხზე დააყენეს არმია და ხალხი, ქვეყანა გარდაქმნეს სამხედრო ყაიღაზე, ყველაფერი დაუმორჩილეს მტრის განადგურებისათვის ბრძოლის ინტერესებს; ამ გზით ჩვენმა ქვეყანამ ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა მტერზე, იხსნა მსოფლიო კულტურა განადგურებისაგან.

დიდი ლენინის მიერ გენიალურად შემუშავებული სოციალისტური რევოლუციის ახალი თეორია და მისი შესაბამისი სტრატეგია და ტაქტიკა უზადლო სახელმძღვანელო იარაღი გახდა მსოფლიო პროლეტარიატისა და მისი პარტიებისათვის, რომელთაც სსრ კავშირის იდეურ-პოლიტიკური და სამხედრო ეკონომიური დახმარებით ევროპისა და აზიის მთელ რიგ ქვეყნებში დაამხეს ექსპლუატატორთა ბატონობა და შექმნეს პროლეტარიატის დიქტატურის ახალი სახელმწიფოებრივი ფორმა—სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკები, სადაც მშრომელი ხალხი გახდა თავისი ცხოვრების ბატონ-პატრონი. და წარმატებით დაიწყო სოციალიზმის მშენებლობა.

სოციალისტური რევოლუციის ლენინური თეორიის, ლენინური სტრატეგიისა და ტაქტიკის შესაბამისად XXII ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში აღნიშნულია, რომ „იმპერიალიზმის ძალუბთან შედარებით სოციალიზმის ძალების, ომის ძალებთან შედარებით მშვიდობის ძალების მზარდი უპირატესობა იმას იწვევს, რომ დედამიწაზე სოციალიზმის ჯერ კიდევ სრულ გამარჯვებამდე, როცა მსოფლიოს ერთ ნაწილში კაპიტალიზმი კიდევ არსებობს, წარმოიშობა იმის რეალური შესაძლებლობა, რომ მსოფლიო ომი გამოირიცხოს საზოგადოების ცხოვრებიდან. მთელ მსოფლიოში სოციალიზმის გამარჯვება საბოლოოდ მოსპობს ყოველგვარი ომის წარმოშობის სოციალურ და ეროვნულ მიზეზებს. კომუნისმის ისტორიული მისიაა მოისპოს ომები, დაამკვიდროს დედამიწაზე მარადიული მშვიდობა“ (სკპ პროგრამა).

ლენინის უკუდავი მოძღვრება გზას უნათებს მთელი მსოფლიოს ხალხებს, მას წინ მიჰყავს ახალი კაცობრიობის ისტორია.

ვლ. სიზრასვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

... ჩვენ კინოს ცენტრალური სახლის მწუდრო დარბაზში ვსხედვართ — ცნობილი ქართველი კინორეჟისორი ნიკოლოზ სანიშვილი და მე. მას ბევრი რამ შეუძლია მიამბოს ქართველ კინოვარსკვლავზე. ლეილა ხომ მის ოთხ ფილმში მონაწილეობდა: „გაზაფხული საკენში“, „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, „აბეზარა“ და „ბევისბერი გოჩა“.

ქართული კავშირი



ნიკოლოზ სანიშვილი ჰყვება ლეილაზე. მოსაგონარი კი იმდენია... სხვა რომ არა, ეს კინომსახიობი ოცდახუთი წელია კინოში მუშაობს. თანდათან, როგორც ეკრანზე, ცოცხლდება ამ საინტერესო მსახიობის, შემოქმედებითი ბიოგრაფია.

... იგი ერთბაშად აღიარეს. ბავშვობიდანვე.

ეს იყო 1940 წელს. დიდთავადება, ნაწინავიანმა გოგონამ მაშინვე მიიპყრო რეჟისორ კოტე ბიბინაშვილის ყურადღება. იგი დგამდა ფილმს „ქაჯანა“.

რეჟისორი არ შემეცდარა, ცხრა წლის ლეილას დებიუტს წარმატება ხვდა წილად.

ლეილა განსაკუთრებით გულთბილად ფიქრობს თავის ბირველ როლს კინოში. ეს გასაგებიც არის.

მაგრამ მისი ნამდვილი აღიარება მოხდა უფრო მოგვიანებით; 1964 წელს ლეილამ ბრწყინვალედ შეასრულა გულუბრყვილო, საყვარელი, კვიანი და ცელქი სოფელი გოგონას — მანანას როლი.

მარიკა ბარათაშვილის მზიარულმა და გონებაშავილურმა ხიუფეტმა მსახიობს უდიდესი შესაძლებლობანი მიცა. ლეილამ ჭრიჭინა ისეთი ჭეშმარიტი გულწრფელობით, ისეთი ცხოვრებისეული სინამდვილით დაგვიხატა, რომ მაყურებელს მსახიობის თითოეული შეხების, ყოველი სიტყვის სჯერა.

წელიწადი მიჰყვება წელიწადს და ლეილას ახალ-ახალ ფილმებში იღებენ. ეს არის ფილმები — „მია წყნეთელი“, „აბეზარა“, „ჩვენი ეზო“.

და აი, 1964 წელიც. ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც მსოფლიოს ეკრანები მოიარა ფილმმა „ჭრიჭინა“. ათი წელი — შემოქმედებითი ძიებით სავსე, დაძაბული მუშაობის წლები იყო; მსახიობის ოცნება — შეესრულებინა ნამდვილად დრამატული როლი, აღსრულდა — რეჟისორმა ნ. სანიშვილმა იგი ძიძიას როლში („ბევისბერი გოჩა“) მიიწვია.

— ლეილა უდიდესი გატაცებით მუშაობდა ძიძიას სახის შექმნაზე, — ამბობს რეჟისორი, — ვხედავდი, რომ გადაღებებზე მუდამ ახალ ფერებს ეძებდა თავისი გმირისათვის, მუდამ ეძებდა და ბოულბობდა სულ უფრო უსუსტ ინტონაციებს, ძიძიას ხასიათის დეტალებს, სრულყოფდა თავისი მოძრაობის პლასტიკას. ეძებდა ყველგან. მოხვევის ქალის ცხოვრებით ცხოვრობდა. და ყველა გრძნობდა, თუ როგორ თანდათან ერწყმოდა მსახიობი თავისი გმირის სახეს.

აქ, ჩვენს წინაშე წარმოსდგა შევლივით ფრთხილი და დამაბუფი, გულწრფელობილი ძიძია... მთიელი ქალის ბუნებით მინიჭებული გრაცია, ქალურობა, ფაქიზი ლირიზმი, რაც ახასიათებს ლეილა აბაშიძეს, ძიძიას სახეს უაღრესად მართალსა და უმაგალითოდ მომხიბვლელს ხდის.

თერთმეტზე მეტი როლი შეასრულა ლეილა აბაშიძემ კინოში მუშაობის წლების მანძილზე. და ვის როლსაც უნდა ასრულებდეს იგი, ყველგან ახასიათებს ერთი თვისება — ეროვნული კოლორიტი. და სწორედ ეს არის მსახიობის ცხოველმყოფელი ძალა.

ლეილას დიდი გეგმები აქვს. იგი ოცნებობს თანამედროვე ქალის როლზე.

— ძალიან მინდა შევასრულო ასეთი როლი, რომ ვიგარძნო — ყოველივე იმას რაც წინათ შემეჩინა — გავუსწარი, და კიდევ ძალიან მინდა, ამბობს იგი ხმადაბლა — თუმცა ეს დიდი საიდუმლოა, — დავდგა ფილმი. ფილმი მინდა მივუძღვნა ჩვენს ქალებს.

ლეილა თაბუკაშვილი





სოსკა კ პროსპექტზე პიპლიპკ



სენსიტიური
ორთქვა

უოტო თ. არჩბაძისა

ალექსანდრა კოსთიალი

ზაფხულია... ნელ-ნელა მივყვები რუსთაველის პროსპექტს...

ათასი რამ მაგონდება, როცა აქ ჩავივლი ხოლმე.

ამჟერად ფიქრს შორეულ წარსულში გადავყავარ.

საქართველო ევროპასა და აზიას შორის მდებარე ხიდს წარმოადგენდა, რომლის შუა წერტილი მუდამ თბილისი იყო. თბილისი მუდამ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების დიდი პოლიტიკური, სავაჭრო და, ამავე დროს, მნიშვნელოვანი კულტურული ცენტრის როლს ასრულებდა. სწორედ ამის გამო მას მუდამ აუარებელი მტერიც და მოყვარეც აწულებოდა. თბილისის ციხის კედლებზე არა ერთხელ მიუტანიათ გააფთრებული იერიში ბიზანტიელთა, ხაზართა, არაბთა, მონგოლთა, სპარსთა და თურქთა ურდოებს. თავისი ისტორიის ვრცელ მანძილზე თბილისი მრავალჯერ იყო შემუსვრილი, დაქცეული, გაძარცვული და იავარქმნილი.

თბილისის ისტორია მთელი საქართველოს ისტორიის ანარეკლს წარმოადგენს. აქ, ამ ქალაქში ყველაზე ადრე და ყველაზე მკაფიოდ გამოჩნდებოდა ხოლმე ეპოქალური გარდატეხანი, რომლებიც მთელი ხალხის ცხოვრებაში იჩენდნენ თავს.

მაგრამ თბილისს არასოდეს არ განუცდია ისეთი მძაფრი ცვლილებანი, როგორც ჩვენს დროს, ჩვენი თაობის თვალწინ, ჩვენს მესხიერებაში...

თბილისი დღეს ზღაპრულად გაიზარდა და გადასხვაფერდა. იერი შეიცვალა მისმა მთავარმა მაგისტრალმა — რუსთაველის პროსპექტმა.

და აი, ახლა მე მინდა გავყე მას იმ მარშრუტით, რომლითაც ჭერ კიდევ ბავშვობისას მიხდებოდა სიარული.

მე მაშინ ბელინსკის ქუჩის ბოლოში, თითქმის მთის ძირას ვცხოვრობდი. ყოველ დილას, იშმაილოვის ქუჩის დაღმართით „მოსკოვის სადგომზე“ („მოსკოვსკაია ზასტავა“) ჩავიბრუნდი ზურგზე ჩანთაკიდებული, სადაც გოლოვინის — ახლანდელი რუსთაველის პროსპექტი მთავრდება.

მოსკოვის სადგომზე გამართული იყო ყაფანი, რომლისაკენაც დატვირთული ურმების, სახედრებისა და აქლემების ქარავანი მოედინებოდა. ყაფნის ირგვლივ დუქნები, სამიკიტნოები და ქოსმასხები იყო ჩარაზმული, მერმე მთის კალთებზე პატარა სახლები, ხოლო მათ ზევით კი — რუსული ეკლესია ჩანდა. ამ ეკლესიის მახლობელ ხევიდან ნაკადული მოწანწვარებდა.

ავდრისას ის ნაკადი იზრდებოდა, მრისხანე მდინარედ იქცეოდა, გრიალით ჩამორბოდა, პროსპექტზე მთიდან ჩამოტანილ ღორებსა და ლოდებს ზვიწავდა და მოძრაობას აფერსებდა. მაშინ წყალსადენი მილები მიწაში დატანებული არ იყო.

ვერის დაღმართის წინ ხრამებითა და ნაპრალებით დაფარული, ოღრო-ჩოღრო, მოშიშველებული ადგილი ჩანდა... აქ მოლოდ და მგზავნი ფოსტის („რაზგონაია პოჩტა“) ნაგებობა იდგა, საიდანაც ეკიბუები, ფორნები და ეტლები საქართველოს სამხედრო გზით ვლადიკავკაზში იგზავნებოდა.

ყოველივე ეს, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ იყო. მის მერმე ირგვლივ დიდი ცვლილებები მოხდა.

ახლა ეს მიდამოები სავსებით გამოცვლილია. გაფართოვდა ვერის დაღმართი, მას ახლა ელბაქიძის დაღმართი ეწოდება, მუშა არკადი ელბაქიძის სახელის უკვდავსაყოფად, რომელიც 1920 წელს დაიღუპა, მას შემდეგ, რაც ამ დაღმართზე ბომბი ესროლა მანქანაში მჯდომ გენერალ ბარათოვს — დეიონანის ელჩს მენშევიკურ საქართველოში.

მაგონდება აუარებელი პატარა სახლები იმ ადგილას, სადაც ახლა მეშახტეთა მრავალსართულიანი შესანიშნავი სახლია აღმართული. ამ სახლის ფართო თაღებში ვეება ეწო ჩანს, სადაც საბავირო გზის ქვედა სადგურის ლამაზი, ჩუქურთმისანი ნაგებობა დგას; აქ ზაფხულობით მუდამ ხალხმრავლობა და ჟრიაშილია. თბილისელებს სტუმრები სჭარბობენ. ისინი ფუნიკულორ-

ზე ასვლას ელოდებიან, რათა მთაწმინდის მაღალ ზეგანზე გაშენებულ დეკორატიულ დიდ ბაღში გაიხიერონ, კოჭრის ნიავით შუბლი გაიგრილონ, ფუნთუკულორის დიდებული ნაგებობა დაათვალიერონ, მის მაღალსვეტიანი აივანზე პური ჭამონ, საიდანაც თბილისი და მის ირგვლივ აზიდული მთები ხელისგულივით ჩანან. ხოლო დამით, როდესაც ლამპიონები აინთებიან, ქალაქი ვარსკვლავებივით მოქედილ, გადაბრუნებულ ცას ემსგავსება.

მეშახტეთა სახლი რუსთაველის მოედანს გადმოსცქერის. იგი პატარა და ვიწრო; მასზე მუდამ დიდი მოძრაობაა. მიუხედავად იმისა, რომ მის შესართავთან რუსთაველის პროსპექტი და ელბაქიძის დაღმართი თვალსაჩინოდ გაფართოვდა, ქალაქის ტრანსპორტის მოძრაობისათვის აქ მეტად მცირე ადგილი რჩება, რაც მის შემდგომ რეკონსტრუქციას მოითხოვს. მოედანი მცირე და ვიწროა იმის გამო, რომ მთაწმინდის კალთები მტკვარს ყველაზე მეტად სწორედ ამ ადგილას უახლოვდება, ავიწროებს და ზღუდავს მოედნის მეზობლად მდებარე რაიონის დასახლებულ ნაწილს.

რუსთაველის პროსპექტი მთაწმინდის გასწვრივ მიემართება და ოდნავ იღუნება შვილდევით თავის ცენტრალურ ნაწილში. მთის კალთებზე გაყვანილი ქუჩები პროსპექტისაკენ დიდი დაქანებით ეშვებიან. მთაწმინდიდან მტკვრისაკენ მძაფრად დაქანებული, ნაპრალებიან კალთებზე მდებარე რაიონები გამოირჩევიან ვიწრო, მიღრეცილ-მოღრეცილ, პატარა ქუჩებით, პატარა სახლებით და პროსპექტიდან ნათლად მოსჩანან. ისინი არ შეეფერებიან და არ ემთხვევიან რუსთაველის ჩინებულ პროსპექტს. ამ კონტრასტის წაშლისთვის საჭირო გახდებოდა ტერასების პრინციპზე აგებული ახალი რაიონების გაშენება. ასეთი რაიონები ჩიხოსლოვასკიაში, კარლოვი ვარში მინახავს და ისინი წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებენ. მაგრამ ეს მომავლის საქმეა და იგი უნდა გააკეთონ მათ, ვისაც თბილისის რეკონსტრუქციის საქმე აბა-რია.

ელბაქიძის დაღმართისა და რუსთაველის პროსპექტის კუთხეში მდგარ დიდ საცხოვრებელ სახლის გვერდით აიღეს „დამგზავნი ფოსტის“ შენობა, ქოსმასხები და, ხრამებისა და ნაპრალების ამოვსების მერე, აქ გაიყვანეს ფართო ქუჩა, ელბაქიძის დაღმართზე გასვლით. და უმად ყველაფერი განათდა, კაცმა ხალგათობა იგრძნო. გამოჩნდა მტკვრის მარცხენა ნაპირზე გაშენებული ქალაქის წარმტაცი ხედი, მახათას მთის კალთებზე მდებარე რაიონები და მის იქით — მცირე კავკასიის ქედები.

როდესაც პროსპექტით ვ. ი. ლენინის მოედნისაკენ მიდინართ, თვალს მოგტაცებთ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ფილიალის მონუმენტური შენობა. იგი მთავრობის სასახლის, მეშახტეთა და კავშირგაბმულობის სახლებთან, კინოთეატრ „თბილისისა“ და საქართველოს მუზეუმის ნაგებობასთან ერთად წარმოადგენს ქალაქის ნამდვილ მშვენიებას. ყველა შემოთ ჩამოთვლილი შენობა აგებულია საბჭოთა ხელისუფლების დროს.

კიდევ ცოტა და, თქვენ მიადგებით 1896 წელს მავრიტანულ სტილზე აგებულ ოპერისა და ბალეტის თეატრის მშვენიერ შენობას. ოპერის ბაღის მარცხენა მხარეს კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის საფლავია, აქ განისვენებს „საქართველოს ბუღბუღი“ — ვანო სარაჯიშვილი, აქ იდგა ახალი ფორმების დაუცვრომელი მაძიებელი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის ფერფლით სავსე ლარნაკი. ახლა ეს ლარნაკი გადატანილია მთაწმინდის პანთეონში. ოპერის ბაღის ჰემმარტი მშვენიებას წარმოადგენს იაკობ ნიკოლაძის მიერ ჰემმარტი შთაგონებითა და მაღალი ნიჭიერებით გამოკვეთილი სახე აკაკი წერეთლისა. სამშობლოს წინაშე ვალდებულ მოხუც მგოსანს, მოციქულის მსგავსად, თავი მაღლა აუწევია, მთაწმინდას გასცქერის და თითქოს სამშობლოს ევედრება:

დედაშვილობამ, ბევრს არ გთხოვ,
შენს მიწას მიმბარეო...
ცა ფირუზ, ხმელეთ ზურმუხტო,
ჩემო სამშობლო მხარეო!

როგორც ცნობილია, „განთიადი“ ლექსის ფარგლებს სცილდება და ლოცვა და ლაღისში გადღის. მოქანდაკის ძეგლში უთუოდ იგრძნობა ეს ლაღისი.

ხუთსართულიანი ოვალური შენობის — სასტუმრო „თბილისის“ შემდეგ, რომლის მშენებლობა 1901 წელს დაიწყო, თქვენ მოადგებით კომუნარების ბაღს. ჯორჯიაშვილის (ყოფილ ბარიატინსკის) ქუჩაზე. 1906 წლის 1 იანვარს მუშამ არსენ ჯორჯიაშვილმა ბოლომდე მოკლა ხალხის ჯაღათი, კავკასიის სამხედრო ოქლის შტაბის უფროსი, გენერალი გრიგორი.

ქაშვეთი, არქიტექტურის მხრივ, უნიკალური ეკლესიის — სამთავისის ასლია, რომელიც თავისი ლამაზი ჩუქურთმებით გვაოცებს; თეთრი ქვისაგან ნაგები ქაშვეთი, შემოკობილი ნაგვირისტები ჩუქურთმებითა და ცაში ავარდნილი ლამაზი გუმბათით, მხრებაწულ, კედელისილ ქალწულსა ჰგავს. ქაშვეთის სრულ წინააღმდეგობას წარმოადგენდა მის პირისპირ მდგარი ვეება, უწოდდეს დაწვინული სახაწინო სამხედრო ტაძარი, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს იქნა აღებული. ახლა იმ ადგილას მთავრობის სასახლე დგას. მას მთელი კვარტალი უჭირავს. მთავრობის სასახლე მოპირკეთებულია ბოლნისის ოქროსფერი ჯავარიანი ქვით და შექმულია ქართული ჩუქურთმებით; იგი სადა, მოსუშენებელია და ეროვნული ფორმით სოციალისტური ეპოქის შინაარსს და სიდიადეს გამოხატავს.

მთავრობის სასახლისა და კავშირგაბმულობის სახლს შორის, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დროს აშენდა და მერმე ეკლარის თეთრი ქვის პერანგით შეიშალა, პატარა ბაღი-სკვერი ჩანს. ამ სკვერის ადგილას წინათ აგურის მაღალი კედელი იყო აღმართული, რომელიც ვაჟთა პირველი გიმნაზიის წინა ეზოს რუსთაველის პროსპექტისაგან აცალკავებდა. ამ გიმნაზიაში სწავლობდნენ საქართველოს გამოჩენილი შვილები: გრიგოლ ორბელიანი ნიკოლოზ ბარათაშვილი, სოლომონ დოდაშვილი, ილია ჭავჭავაძე და სხვანი.

გიმნაზიის კედელი-ღობე მოშალეს და პროსპექტს მიკრული წინა ეზოს ადგილას საბავშვო უნივერსიტეტის ერთსართულიანი შენობა ააგეს. ახლა აღებულია ეს უნივერსიტეტი. მის ტერიტორიაზე, გიმნაზიის წინა ეზოში, როგორც უკვე იყო თქმული, პატარა ბაღი-სკვერი გაუშენდა. ამ პატარა ბაღის (სკვერის) და მთავრობის სასახლის შემდეგ იწყება კავკასიის მეფისნაცვლის ყოფილი სასახლე და ბაღი, ამჟამად, პიონერთა სასახლე.

კარგად მახსოვს პირველი მსოფლიო ომის დროს ამ სასახლეში კავკასიის ახალი მეფისნაცვლის ნიკოლოზ რომანოვის საწიგმო ჩამოსვლა და მერე მისი სამარცხვინო გაქცევა თბილისიდან. თებერვლის რევოლუციისა და პეტროგრადში დროებითი მთავრობის ხელში ძალაუფლების გადასვლის შემდეგ კავკასიის მეფისნაცვალმა, ტახტიდან ჩამოგდებული მეფის ბიძამ, ამ სასახლეში მენშევიკური პარტიის ლიდერები, საქართველოს ეგზარხოსი და ქალაქის თავი მოიწვია, თხოვა მათ წესრიგის დაცვაში დახმარება. მათ დაარწმუნეს იგი, რომ ყოველ დღეს მისმართდნენ „ანარქიას არ გეშარჩვა“, მაგრამ გადიოდა დრო. ისტორიული ამბების ქარიშხალი აყირავებდა მეფისნაცვლისა და დროებითი მთავრობის მიერ შექმნილ „წესრიგს“... მახსოვს ამ პროსპექტზე, სასახლის წინ მოედანზე და ხეივანში უამრავი ხალხი და რევოლუციის მხარეზე მდგარი ჯარისკაცები... შეშინებული მეფისნაცვალი სადგურისაკენ გარბოდა. უკან ჯარისკაცთა გინება და სტივენა მოეხმოდა. მეფისნაცვალმა მოასწრო საგანგებო მატარებელში ჩაჯდომა, რომელშიაც ადრევე იყო მიტანილი საიდუმლო საბუთები და სასახლის სიმდიდრე. დრო გადიოდა. ისტორიული ამბები საოცარი სისწრაფით ვითარდებოდნენ, მალე მათ მთელი მსოფლიო შეაჯანჯარეს. 1917 წლის 25 ოქტომბრის ღამით პეტროგრადის მუშებმა შეიარაღებული აჯანყების დროსა აღმართეს. ზამთრის სასახლე იერით აიღეს. დროებითი მთავრობა დაემხო, შეიქმნა მუშათა და გლეხთა პირველი სახელმწიფო მსოფლიოში. ასე დაიწყო ახალი ერა კაცობრიობის ისტორიაში.

პიონერთა სასახლის წინ სახელმწიფო მუზეუმი აღმართული, რომლის მშენებლობა საბჭოთა ხელისუფლების დროს დაიწყო; აქედან თქვენ გადიხართ ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის სახელობის მოედანზე.

1921 წლის 25 თებერვალს ეს მოედანი ქართველი ხალხის ცხოვრებაში მომხდარ დიდი ისტორიული ამბების მოწმე გახდა. აქ იმ დღეს თავი მოიყარეს აჯანყებულ მუშათა და გლეხთა შეიარაღებულმა რაზმებმა, წითელი არმიის ნაწილებმა, დედაქალაქის მშრომლებმა. ქალაქის ცენტრალურ მოედანზე მოწყობილ საწიგმო მიტინგის დამთავრებისას საქართველოს კომუნისტების დიდი ლენინის დებუმა გაუგზავნეს: „თბილისის თავზე საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა ფრიალებს. გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!“

1956 წლის 21 აპრილს აქ გაიხსნა ვ. ი. ლენინის ძეგლი. ლენინი გადმოცემულია სწრაფვასა და მოძრაობაში. იგი ოდნავ წახრილია შორს იყურება, წინ ხელი გაუწვდია, ხალხებს გზას უჩვენებს და ახლაც მიფრინავენ ოქმინებზე უდაბნოებსა და მთებზე წინასწარმეტყველური სიტყვები: „ჩვენ სწორი გზით მივდივართ. ამ გზას, ადრე თუ გვიან, სხვა ხალხებში დაადგებიან“.



არც მკურნალობის პროცედურებს შეეგებები. ეს ძალიან შორს წიგვიყვანს.

მეორე შემთხვევა ეტიოლოგიურად ანალოგიურია იმ განსხვავებით, რომ წინააღმდეგობა ამჯერად თერაპევტიკა გამოიჩინა; შესაძლებელია კონტრასტის წინათ მოხდა. ერთ ახალგაზრდა დედას მშობიარობის შემდეგ საერთო სისუსტე და მაქისციების აჩქარება დასრულდა. მოიწვიეს სახელმძღვანელო თერაპევტი, რომელმაც გულდასმით გასინჯა და, თავისი სიტყვის მოსალოდნელი შემდეგი აღარ გაუთვალისწინებია, ისე უთხრა ავადმყოფს:

— გულის მანკი გაქვთ, პირდაპირ სტუდენტებისათვის სადემონსტრაცი-

ჩვენა შეთავაზება

(დაბადებიდან 60 წლისთავის პატივად)

ეს ამბავი ამ ხუთიოდე თვის წინ მოხდა. თბილისის ერთ საავადმყოფოში, თერაპიულ განყოფილებაში ახალგაზრდა ქალი დაწვინეს. ტკივლებს უჩიოდა კუჭის მიდამოში. მკურნალმა ექიმმა, სხვა წამლებთან ერთად, დარიშხანის ინექცია დაუნიშნა. იმავე პალატაში ხანდაზმული ქალი იწვა; მან, როგორც კი დაინახა, რომ ექიმი პალატადან გავიდა, ახალგაზრდა ქალს უთხრა:

— ეს რა ქნა ექიმმა, დარიშხანი ხომ მხედველობაზე მოქმედებს! მაგ წამალს ბევრი ადამიანი დაუბრმავებია...

ამ დაუკვირებელმა სიტყვამ ახალგაზრდა ქალზე მძიმე ზეგავლენა მოახდინა. იმავე საღამოს ავადმყოფებს კინოსურათს უჩვენებდნენ. სულ ათიოდე წუთს უტყირა ეკრანს ახალგაზრდა ქალმა და უცებ იკვლა, მიშველეთო.

მას თვალთ დაუბნელდა, ვეღარაფერს ხედავდა.

მოხუცმა ქალმა, რომ იტყვიან ხოლმე, ცეტლზე ნავთი დაასხა და ავადმყოფის გასაგონად ჩაილაპარაკა:

— ხომ ვამბობდი, არ დამიჯერეს და აჰა, დაღუპეს ადამიანი...

ეს იყო და ეს. მთელი რვა დღის განმავლობაში რა არა სცადეს, რაც ფიზიოთერაპიას საშუალება მოეძებნება, ყველაფერი გაიხსენეს — ქალს აყოფერი ეშველა. ის უკვე უსინათლო იყო. მეტბრე დღეს ავადმყოფის პატრონებს ვილაყამ ურჩია — პროფესორი ირაკლი მენთეშაშვილს მიმართეთო.

და აი, ავადმყოფის საწოლთან თერაპევტი ფსიქიატრმა შეცვალა. გამოცდილი მეცნიერი უმაღლესი მხედდა, რომ აქ დარიშხანის ინექცია არაფერი შეუაბო იყო და ახალგაზრდა ქალი დაუკვირებლად, დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვის მსხვერპლი გახლდათ. ეს იყო ტიპური შემთხვევა ისტერიკული სიბრმავეისა. სულ სამი სეანსი დასჭირდა პროფესორი მენთეშაშვილს, რათა ავადმყოფისათვის თვალის სინათლე დაებრუნებინა.

ახალგაზრდა ქალის სიხარულს აქ აღარ აღწერთ, ისედაც გასაგებია,

ციო მანკი და, ამავე დროს, სტენოკარდიული მოვლენები.

ახალგაზრდა ქალი ლოგინად ჩავარდა. თვალზე ცრემლი არ უშრებოდა: „აქამდე თუ არ მიქონდა ეს წყველი მანკი, რაღა ახლა გამოინდა... ისიც სტენოკარდია, რაღა მეშველება“, მოსთქვამდა იგი.


ქალის ნათესავებს ისევ პროფესორ მენთეშაშვილის გვარი დაუსახლეს. ეს შემთხვევა ცოტა ძნელი იყო შთაგონებისათვის, პროფესორს უნდა ელაპარაკნა თავისი კოლეგის დაუკვირებლობაზე, შეცდომაზე. ირაკლიმ შთამაგონებელი სიტყვებით ე. წ. აქტიური თერაპიის რამდენიმე სეანსით გამოიყვანა ავადმყოფი მძიმე მდგომარეობიდან.


ამჟამად იმ პაციენტს უკვე ცხრამეტი წლის ქალიშვილი ჰყავს და თვითონაც ჩინებულად გრძნობს თავს.

ვინ მოსთვლის ამ ოთხი ათეული წლის მანძილზე ირაკლი მენთეშაშვილს რამდენი ადამიანისათვის დაუბრუნებია ჯანმრთელობა, სიცოცხლის სიხარული და ბედნიერება! ამ შესანიშნავ მეცნიერს და გულისხმიერ მკურნალს დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ხალხის წინაშე; ავარ უკვე ორმოცი წელია, რაც ეს გამოჩენილი საბჭოთა ფსიქიატრი, პროფესორი ირაკლი მენთეშაშვილი დაუღალავად ემსახურება მედიცინის ურთულეს და, ამავე დროს, უაღრესად საპასუხისმგებლო დარგს — ფსიქიატრიას.

ირაკლი მენთეშაშვილი ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია იმ ფსიქიატრიული სკოლისა, რომელსაც სათავეში უდგას მთელ მსოფლიოში სახელგანთქმული მეცნიერი, ავადმყოფის ავლად დავითის-ძე ზურაბაშვილი. თავისი კოლეგებთან ერთად ირ. მენთეშაშვილმა დიდი ღვაწლი დასდო ქართული ფსიქიატრიის განვითარების საქმეს.

გაბი სხვანი
ფსიქიატრიის კვლევათი ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-მუშაკი.





იქნა თარბა



ჩემი და ვანო თარბას სახლკარი ზღვას გადაჰყურებს... ჩვენ, როგორც კეთილი მეზობლები, ხშირად ვუკითხავთ ლექსებს ერთმანეთს.

ალბათ ბალ-ვენახის და აივნის ჩრდილიც შეეჩვია და მუდამ ჩუმად მოხარულია უსმინოს აფხაზურ სიტყვის ხმოვანებას. მინდა ის ქართველმა მკითხველმაც იცოდეს. ვთარგმნი ქართულად.

პარლო კალაძე


სურათზე: კარლო კალაძე და ივანე თარბა



გზას ვეძებ შმაგი და გამბედავი,
გალმა-გამოღმა?
ქვეყნად რამდენი გზაა ნეტავი —
გალმა-გამოღმა?
ვაპ, თუ ერთმანეთს ავცდეთ, პატარავ, —
გალმა-გამოღმა,
დარღმა ასე მთა გადამატარა
გალმა-გამოღმა!..

რა მელანდება, რა შაიმედებს,
იცი, თუ არა?
იაცს სასიკვდილოდ რა გაიმეტებს,
იცი, თუ არა...
კვლავ რომ არ გნახო, არ შემიძლია,
იცი, თუ არა!
ბილიკებწაშლილ მთებზე ნისლია...
იცი, თუ არა.

არ ალაგმო ბედაური
და არც ურჩად ათავხედო,
არ შეკაშმო იგი ისე,
რომ თვალეზში არ ჩახედოს!
არ დაუთმო საჯირითოდ
უცხო მხედარს ურა-ცხენი,
უცებ უნდა გამოიცინოს
მან თავისი მხედრის ხელი!
თუ გაიწევს — გაამხნევე,
ჩაეჭვიღე მარჯვედ ფაფარს,
დე, გრიგალად მოველინოს
ცის კიდემდე გაშლილ მთა-ბარს!
ჩაბალახის გაშლით გაჰყევ
საგანგებოდ გვერდ-წახრილი,
დოლი თუა — დოლში უყვარს
აფხაზური შეძახილი!
დოლი თუა — დოლში უყვარს
გადალახვა მინდორ-ველის,
გული უცემს ვაჟკაცივით,
სასახელო ჭილდო ელის!..
არ ალაგმო ბედაური
და არც ურჩად ათავხედო,
არ შეკაშმო იგი ისე,
რომ თვალეზში არ ჩახედოს!..



ახ, რამდენი სუნთქვა
და რამდენი მზერა —
დაუინებით ითხოვს,
დაუინებით, ალერსს!
გულს არცერთი გული
არ აცდებდა, მჭერა —
გაუმარჯოს ლამაზ
თვალთა მოტრფიალეს!

გოგოებო, შუქით
გაგვინათეთ სახე,
შეეჭიბრეთ ციურ
ვარსკვლავების ციმციმს,
მაგრამ ფრთხილად, ფრთხილად
არ დაგვიგოთ მახე,
ცოლშვილიან კაცებს
თავდაღწევა გვიმიძის!..

მოიძიეთ ქვეყნად
თქვენი გულისწორი,
რომ ყოველი წყვილი
სერიზობდეს წყვილად,
სილამაზე გვხიბლავს
ახლოა თუ შორი,
გოგოებო, ჩვენთან
ფრთხილად, ფრთხილად, ფრთხილად!

თვალი რაა — ჩვენ წინ
რიწის ტბაა წმინდა,
რა კარგია მისი
ეშხი რომ არ დაშრა!
რა კარგია... მაგრამ
გაგიმხილოთ მინდა:
სულ ადვილად შეძლო
ჩვენი გულის დაქრა!..

გოგოებო, თქვენი
გამარჯვების მჭერა,
გაუმარჯოს ლამაზ
თვალთა მოტრფიალეს!..
ახ, რამდენი სუნთქვა,
და რამდენი მზერა
დაუინებით ითხოვს,
დაუინებოც ალერსს...



ამ ქვეყნად როგორ გინდა იარო,
თუ შენც დატუქსე გული კეთილი,
ან როგორ შესძლებ ადამიანო
იყო სიძუნწით კარჩაკეტილი?


სიტყვაც უქმია უქმი მზერავის:
„მე განზე ვდგავარ, მე არ მეხება!“
ველარ აუწყობ ნაბიჯ ვერავის
ღრიაანკელივით მოკლენფებმა!

თუ ყველაფერი უთქმელი დარჩა
ჩუმად განცდილი, ჩუმად ბილული,
არ იცი სწრაფვა, არ იცი გარჯა,
და გულისფიცრად გიდეგს ყინული, —

იცოდე, ცივი მზერა ვერ ახსნის
და ვერც ციმციმი კითხვის ნიშანთა, —
ბნელი სიჩუმე ფიქრის და აზრის
თუ ცხელი სიტყვით არ დაიშანთა!

ო, ჩემო კარგო, ჩემო ნიბლიავ,
მოკვდელები, ფიქრი რომ არ გამანდო,
არსება ჩემი მოგიხიბლია —
ჩაუქრობელი შუქით ამანთო!

როცა ჩვენ ორნი ვიყავით ერთად,
იცი, თუ არა —
თვალეზს როგორი დღე გაუთენდათ,
იცი, თუ არა?
როგორ გეძებდა გული მგზნებარე,
იცი, თუ არა,
თვალდახელშუა რომ გამეპარე,
იცი, თუ არა?..



შალვა თალია

უფროსმა ლეიტენანტმა ალექსანდრე ალფაიძემ მართლაც სასახლოდ გაართვა თავი რთულსა და ძნელ ოპერაციას; მის მიერ მოყვანილმა ტყვეებმა დაწვრილებით გვიამბეს, თუ სად, როგორ იყო განლაგებული გერმანელთა საცეცხლე წერტილები მარხუხის ქედის მისადგომებთან, ჩრდილოეთის მხრიდან.

გადავწყვიტეთ შეგვემოწმებინა ამ ტყვეების ნაამბობი. ალფაიძემ ისევ გამოიღო თავი — ეგ საქმეც მე დამავალეთო. შემდეგ თავის სერჟანტებს, კეზევაქესა და ნებეირიძეს მიუბრუნდა — ერთხმად ვითხოვთ, ბარემ მიგვაყვანინონ საქმე ბოლომდე. აქ კი პოლკის კომისარმა აშოტ არუთინიანმა ველარ მოითმინა:

— ამხანაგო ალფაიძე, თქვენ აქ ადგილკომის კრებაზე კი არა ხართ, რომ მოითხოვთ და როგორც გინდათ ისე გადაწყვიტოთ. რასაც გიბრძანებენ, ის უნდა გააკეთო. დაზვიერვა ამალამვე უნდა წავიდეს. თქვენ კი დაღლილები და უძილონი ხართ, ფეხზე ძლივსა დგახართ...

ალფაიძე აიბუტა, მაშინ აშოტი მოეფერა — ნუ ჩქარობ, ალიოშა! ვიცი, რომ კარგი ხარ... წადით ახლა, დაიძინეთ, და საღამომდე გვადროვეთ... დაგვაცადეთ, რომ ყველაფერი მოვიფიქროთ, ავწონ-დავწონოთ.

ბევრი ფიქრის დრო აღარც იყო. ავწონ-დავწონეთ ყველაფერი და დავრწმუნდით, რომ ყველაზე უფრო ხელსაყრელი ისევ ალფაიძისა და მისი მზვერავების გაგზავნა იყო; მას უკვე კარგად შესწავლილი ჰქონდა იქაური მიდამოები, თანაც არც სიმაშაცე აყლდა და არც საზრისიანობა.

და აი, უკვე რუკას დაეკერით, წითელი ფანქრით მოეუხანაურა მზვერავებს სამოქმედო რადიუსები. ის იყო თოვაც დაიწყო, ბარაქიანად ბარდნიდა. ალფაიძეს გაუხარდა, მტერს უფრო შეუმჩნეველად მივებარებდითო. კომისარმა თავის მხრივ მოინდომა ძნელი დავალების წინ გასაუბრებოდა მზვერავებს, მაგრამ ჩქარა მობრუნდა კარავში და სიცილით თქვა:

— რომელს აუფხსნა და ველაბარაკო: ყოველი მათგანი თვითონ გამოდგება პრობაგანდისტად, ყველანი პარტიულები და კომკავშირელები არიანო. რჩევა-დარიგება, რა თქმა უნდა, მაინც საჭირო იყო: პირველყოფისა, ალფაიძე გავაფრთხილებთ შეუმჩნეველად ემოქმედინა, და თუ მტერი აღრე გაიგებდა მზვერავების მიახლოებას, ბრძოლა არ მიედოთ. ჩვენ თვითონ გავხსნივთ აქედან საპასუხო ცეცხლს—ვუთხარით მას. ამ მიზნით ჩრდილოეთისაკენ მიმავალ ბილიკზე ნაღმმტყორცნელებმა აირჩიეს პოზიცია, მათს მარცხნივ მუხტომბეტითა ოცეული ჩასაფრდა. მზად იყო დაზვის ტყვიამფრქვევებიც...

და აი, მზვერავები წავიდნენ. კაპიტანი ლადო ფათარაშვილი მოუთმენლად იცქირებოდა ჩრდილოეთისაკენ, დაძაბული მოლოდინი კარგა ხანს გაგრძელდა. შუადღე ვადასული იყო, როცა უღელტეხილის ბილიკზე სერჟანტი ნებეირიძე ამოფრთხილდა, წამოდგა და ღონემხილი ისევ მიწაზე დაეცა. მისცივიდნენ წაქცეულს, წამოაყენეს, გამოჭყიტეს ყველაფერი.

— ალფაიძემ დამაბარა, — დაიწყო სერჟანტმა, — მტერი ძალიან ფხიზლობს, ახლოს არ გვიკარებს; ჩვენ, როგორც იქნა, შევქელოთ და ქედს მოვუარეთ, რომ ჩრდილოეთი ფერდობი გვენახა, მაგრამ გუშაგები ყოველ ათ მეტრზე უყენიათ. ისიც დამაბარა ალფაიძემ — მეტი ლოდინი აღარ შეიძლება, უნდა გუშაგი მოგხსნა და რაც იქნება იქნესო.

* იხ. „დროშა“ № 5.

ამ ლაბარაკში რომ ვიყავით, უსახელო ქედის გაღმადიდან სროლის ხმა მოისმა.

— აი, ჩვენები უკვე შეებრძოლნენ მტერს, უნდა მივეშველოთ — წამოიძახა ნებეირიძემ.

წინ არაფერი ჩანდა, თოვლის ფანტელს ისე გადაეთეთრებინათ სივრცე, თითქოს ველზე რძის ზღვა დგასო. ასე უცებ მიშველება ძნელი იყო. ამის გამო ჩვენ ყველანი ვესაყვედურებოდით ალფაიძეს — აკი გავაფრთხილებთ ბრძოლაში არ ჩაბმულიყო.

სროლა მალე შეწყდა, თოვამ იკლო. ცოტაც კიდევ და ლეიტენანტმა ლიბისმა დამთხვეულივით წამოიყვია — ერთი ჯგუფი ველზე გადმოიღის, მას უფრო დიდი ჯგუფი მისდევს, ალფაიძე თუ ბრუნდებო. კომისარმა დაუდასტურა, ალფაიძე უახლოვდება გადმოსასვლელ ბილიკს, მას მტერი მისდევსო. საჭირო იყო სასწრაფო ზომების მიღება.



ლადო თათარაშვილი

ნ ე მ ა რ ი თ ვ ე რ ც ლ ი ს ა რ ი გ ზ ე (ს თ) ნ

მე მაშინვე კაპიტანი ლადო თათარაშვილი მოვიკითხე, სად არის-მეთქი. მეხუთე ასეულის ტყვიამფრქვევს მოაგორებდსო. სულ მალე ლადოც გამოჩნდა, მიუჯდა ტყვიამფრქვევს და მოკლე ჯერებით ალფაიძეს აცნობა — გხედავთ და გიშველით, არ შედრკეთო. წათამამებულმა ლიბისმა მისცა ბრძანება შემოხსნეს და შუილ-შუილით წავიდნენ პირველი ნაღმები, ზუსტად ისროდნენ მეზობლები, ერთი ნაღმი ალფაიძეზე ადევნებულ მტრის ჯგუფში აფეთქდა. თავის მხრივ თათარაშვილმა ტყვიამფრქვევიდან საკმაოდ გრძელი ჯერი გაუშვა და იმანაც ზუსტად მოახვედრა მიზანს.

ალფაიძე და მისი მეზობლები აღარა ჩანდნენ, ეტყობოდა ფერდობს შემოპყვნენ და ჩვენსკენ წამოვიდნენ.

სულ მალე ალფაიძე დავინახეთ. დაღლილობისაგან ფეხზე ძლივს იდგა, მისი მზვერავებიც ძალიან მოქანცულნი იყვნენ. რაღაც ქამრით შეკრული ფუთა მოათრიეს, ეს იყო მათი ნადავლი. ალფაიძემ ფუთა გახსნა — შიგ გერმანელი ოფიცრის მაზარა, ფრენჩი და სხვაეული ჩანთა იწყო. კომისარმა და თათარაშვილმა მოტანილი ნივთების თვალიერება დაიწყეს. სხვაეული ჩანთაში ტოპოგრაფიული რუკა აღმოჩნდა, მასში ზუსტად იყო აღნიშნული მტრის საცეცხლე წერტილების და ჯარის ნაწილების განლაგება.

— ჰაი, დედასა, როგორ დავვახსნი, რომ ამის პატრონი ცოცხლად ვერ წამოვიყვანე! — წუწუნებდა ალფაიძე.

— საღარდელი არაფერი გაქვს — უთხრა თათარაშვილმა — თქვენ რომ ის ოფიცერი აქ მოგეყვანათ, ამაზე უკეთესს რას გვეტყოდა.

ფრენჩის ჯიბეში, რუკასთან ერთად, წერილები და ფორტოსურათებიც ვიპოვეთ.

— ეგ საბუთები კობაქისის კომისარს გაუგზავნეთ, — ვუთხარი კაპიტანს, — ისინი ვაარკვევენ, ჩვენ გერმანული ენა არ ვიცით და არც თარჯიმანი გვყავს.

იმავე წუთებში შტაბის უფროსმა მოიბრინა და ახალი ამბავი მოიტანა: საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კალე შეროზია ჩამოსულა ჩვენთანო.

მეც და კომისარიც უმალ მის შესახვედრად გავეშურეთ. სულ მალე მისი ბილიკზე კალე შეროზია გამოჩნდა, თან ორი კაცი ახლდა. წარუდგ-


ქით და მოვახსენეთ ყველაფერი, როგორც წესი და რიგი იყო, ავუწერეთ ჩვენი გაჭირვება, სურსათის უქონლობა. ცენტრალური კომიტეტის მდივანს ყოველი წვრილმანი აინტერესებდა, გულთან ახლოს მიჰქონდა; იმ წუთებში ორი მეზობელი დაღუპული ქართველი ჯარისკაცის ცხედარს მოასვენებდნენ. შეროზიამ შეაჩერა ისინი და ითხოვა გარდაცვალებული დავესვენებინათ. მერე ჩაიჩოქა, და უცებ ცრემლი ველარ შეიმარგა. მძიმე წუთი იყო, ჩვენც მუხლი მოვიყარეთ გმირის ცხედრის წინ.

კალე შეროზია ოთხი სექტემბრის საღამომდე ჩვენთან იყო, უღელტეხილზე, სათითაოდ ესაუბრა მეორე ბატალიონის ყველა მეზობელს და ოფიცერს, ყველაფერი ჩაიწერა და გაგვაშენვა, რომ რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერს გააკეთებდა. რათა ჩვენი მდგომარეობა შემსუბუქებულიყო.

ხუთ სექტემბერს, განთიადზე, ჩვენი წინა ხაზის მარჯვენა ფრთას მტერმა შემოუტია; საკვირველი ის იყო, რომ გერმანელებმა უღელტეხილის სამხრეთით, ჩვენს ზურგში მდებარე უსახელო ქედისგან დაგვიწყეს სროლა.

— აბა ლადო, — ვუთხარი თათარაშვილს — ახლა გვინდა სიმარჯვე, მტერი ზურგში შემოგვსკულია, არც მაშველს გამოუშვებს ჩვენამდე და არც ჩვენ გავვიშვებს, ძალიანაც რომ მოვიწოდოთ!

სასწრაფოდ თავი მოვუყარეთ ყველას — მეავტომატებს, მზვერავებს, მეკავშირეებს. შვიდ საათზე, მეოთხე ასეულმა ბრწყინვალედ მოიგერია მტრის პირველი იერიში, წინა ხაზი მტრის დახოცილი საღდათებით ჩაიხერგა. მოიერიშენი ხელჩართულ ბრძოლის მანძილზე მოუშვეს და ხიშტის კვეთებით უკუაგდეს. ამკარად ჩანდა, რომ ჩრდილოეთის მხრიდანაც, ყინულოვან ველზე ახალი მოიერიშე ძალები ჯგუფდებოდნენ ჩვენს წინააღმდეგ წამოსასვლელად. პაერში მტრის სამი „ფოკე-ეულფი“ გამოჩნდა. ბომბების აფეთქებისაგან უღელტეხილმა ზანზარი დაიწყო. მეოთხე ასეული პირდაპირ თვალწინ დნებოდა. მეთაური ბოლქვამე ჩახრინწინებულნი ხმით იტყობინებოდა, რომ მოზღვაებული მტრის შეკავება უკვე ძალიან გვიჭირსო. თათარაშვილმა იმედი მისცა — არ შედრკეთ, მოვდივართ თქვენს საშველად, მოვდივართო.



მოთხრობა

ერდობები ტყეთა მუჭმწვანე სამოსელში გახვეულიყვნენ. უძირო, ლურჯ ცაში ამაღლებული მთები ისე ეშვებოდნენ ზღვისაკენ. თითქოს ერთმანეთს აჩქარებენო. მხოლოდ ზედ ზღვის სანაპიროსთან თავდებოდა მათი სრბოლა.

ტყის მჟღერობას არაფერი არ არღვევდა. მხოლოდ სადღაც შორს, ტყის სიღრმეში ყრულ მოხუცედა მთის მდინარე. უცებ ზაფხულის ამ უშფოთველი დღის მჟღერობაში უცნაური ხმა გაისმა. ის ახლოვდებოდა საიდანაც ზემოდან. ისმოდა ტოტების ლაწანი, ასე შეეძლო ერბინა მხოლოდ დიდსა და ძლიერ მხეცს.

სიფრთხილე — ტყის კანონია, ყველა ტყიური, ძლიერია ის თუ სუსტიც, ცდილობს ჩუმად იყოს; ხმაური ვაცემს სუსტს, ჩასაფრებულ მტერს ჩაუგდება კლანჭებში, ხოლო ძლიერს საკბილოს დაუფრთხობს; ამიტომ აქ ყველა იმალება, ცდილობს ფეხაკრფით იაროს, ჩრდილივით გაეკრას ხეებსა თუ ბუჩქებს.

მაშ რაღაც ძლიერ გაუჭირდა იმას, ვინც ეს ხმაური ატეხა, რაღაცამ აიძულა დაევიწყნა ეს ძველი ალათი ტყისა და დაერღვია მჟღერობა.

ცოტა ხანც და, თბილისა და შაჟვლის ბარდებიდან წყლისკენ ვეება ირემი გამოშლივინდა. მთელი ძალა და სილამაზე ტყეს თითქოს მისთვის ერჩუქებინა. თვალს იტაცებდა მისი მაგარი, ოდნავ უკან გადაყრილი რქები, დაპარღვეული თლილი ფეხები. ეს ლამაზი და კეთილშობილი პირუტყვი ძრწოლას მოეცვა, დაძაბულობისაგან ცახცახებდა, საშინელი საფრთხისაგან ელდაწაკრავი ფეთიანავით იმწირებოდა აქეთ-იქით.

სიკვდილის საფრთხე კი დიდი ხანია მოსდევდა ირემს, მოსდევდა კვალდაკვალ... სიკვდილი შორეული ქედის თხემზე შემოეფეთა, ეს ფოცხვერი იყო. მან ვერ შესძლო ერთი ნახტომი დაეჭირა ირემი და გამოეღარა მშვენიერი ყელი.

მუხანათი და საზარელია ფოცხვერი. ბევრი მტაცებელი ჰკლავს მსხვერპლს იმიტომ, რომ შია. ფოცხვერი კი ჰკლავს იმიტომ, რომ მოჰკლას. არც ერთი მტაცებელი არ სდევს მსხვერპლს ისეთი გაშმაგებით, როგორც ფოცხვერი. ახლაც, როცა ეს მშვენიერი ტყიური გაუსხლტა კლანჭებიდან, სისხლმოწყურებული ვეება კატა კვალდაკვალ გამოჰყვა, ჩრდილივით მიჰქროდა მწვანე თაღებქვეშ. შიშისაგან გადარეული ირემი ისწრაფოდა წინ, ზედ ევლებოდა ღრანტებებს...

გუმანით იცოდა ირემმა, რომ არ იყო ხსნა, რომ მტერი შეუბრალებელი იყო, როგორც ბედისწერა. მაგრამ, სანამ მის ღონიერ ტანში ისევ იყო სიცოცხლე, სანამ უცემდა გული, ის იბრძოდა, რომ თავი გადაერჩინა.

კატის ჭიში წყალს ვერ ეგუება. ამიტომ თუ მორბოდა ირემი წყლისაკენ, მხოლოდ მდინარის შეეძლო მოეცილებინა მისთვის ფოცხვერი.

და აი, ირემი უკვე მდინარის პირზეა, ზღვისკენ

რომ მიჰქანებს ტალღებს. ზღვა ახლოა და თითქოს მასთან შეხვედრა ახარებსო, მდინარე იქაურობას იკლებს ხმაურით. წვიბებს კიდევ უფრო გაუხელებიათ იგი. ნადირი უცებ ვერ ბედავს გადაეშვას ტალღებში, მაგრამ სიკვდილი, რომელიც ფეხდაფეხ მოსდევს, კიდევ უფრო საზარელია. დამფრთხალი ირემი ერთხანს ნაპირ-ნაპირ მიმობრბის და მერე შურდულივით ეშვება წყალში.

თითქოს უნდათ საფრთხეს ჩქარა მოაშორონ, ტალღებმა მსუბუქად გაიტაცეს იგი. ირემი ცდილობდა გეცურა მეორე ნაპირისაკენ, მაგრამ ვერ ახერხებდა. მორევში მოხვდა, მეორე ნაპირმა გაიელვა სადღაც და გაუჩინარდა, ირემი ახლა მდინარის უმწიერ ტყვე იყო.

ტალღები ღია ზღვაში მიჰქანებდნენ ირემს. მან ერთხელ კიდევ შეუპოვრად გაიბრძოლა, მაგრამ ამაოდ.

თითქოს ყველაფერი დაიკარგა, უნდა შეურიგდეს გარდუვალს... მაგრამ ვანა მთებისა და ტყეების ამაყი შვილი იმიტომ გამოეცქია ფოცხვერს, ამ მლაშე წყალმა დაახრჩოს? ნესტოები და პირი მარლიანი წყლით ევსებოდა, ტალღების თავაწვეტილი როკვა აქეთ-იქით ისროდა ირემს.

ტალღამ თავიანდა დაფარა და ქვევით ჩაითრია ნადირი. იგი შეეცადა მოეხსენა რაიმე საყრდენს, მაგრამ ვანა შეიძლება მისი პოვნა ამ უკიდვანო ბობოქარ ქაოსში? ფეხებმა მხოლოდ უწესრიგოდ და კრუნჩხვით გასჭრეს მომწვანო ბურუსი...

სიკვდილის შიშმა შეთოკა პირუტყვი, ეგონა, რომ ყოველი მხრიდან შემორტყმული იყო მოუხელთებელი და უმოწყალო მტრებით, რომ ფოცხვერთა ურიცხვი სროვა გლტავდა და ითრევდა. ჰყარგავდა უკანასკნელ ძალას, უკვე აღარ აწყდებოდა აქეთ-იქით, არაფრის გაკეთება არ შეეძლო, აღარაფერი გაეგებოდა.

მსგავსი რამ არასოდეს განცადა. ტყეში ხიფათი რომელიმე ერთი მხრიდან მოდის და მას შეიძლება დაემლო. აქ კი სიკვდილი ყოველი მხრიდან მოდიოდა...

სარწმუნო გამოსული მეთევზეების ნავსაც ასევე არწევდა ზღვა. ტანმოჩილია მეთევზემ თვალები ხელით მოიჩრდილა და განცვიფრებით წამოიძახა:

— შეხედეთ, რაღაც ტივტივებს! ტალღებზე შეგდებული სხეული, რქათა გაბარჯღული ტოტებით, ოდენად უცნაური ჩანდა, რომ მეთევზეთა მახვილ თვალებსაც გაუჭირდა გამოეცნოთ რა უნდა ყოფილიყო ეს.

— ირემია, ირემი... — წამოიძახა მალაღმა ჭაბუკმა.

— გეჩვენება, ზღვაზე ირემს რა უნდა! — უპასუხა მეორემ.

უფრო მძლავრად ამუშავდნენ ნიჩბები. ნავი მალე მიუახლოვდა ნადირს.

— ოი, როგორ დატანჯულა! აქ როგორ მოხვდა ნეტავი?

— გამაგრდი, უბედურო, ახლაც ვიშველით. პირუტყვემა თითქოს იგრძნო მათი წადილი. უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ნავისაკენ გასცურა. ინსტიქტი ნადირს ყოველთვის კარნახობდა, რომ უნდა მოერიდოს ადამიანს, რომელიც მოხერხებული და საშიშია, რომელიც ყოველთვის მზადაა მოულოდნელი დარტყმისათვის.

მაგრამ დაუთრგუნველმა სურვილმა — ეცოცხლა — ახლა დახმლია სისხლში გამჭდარი ინსტიქტი ადამიანის წინაშე შიშისა. ნადირი გაუბედავად მიიწევდა იქით, საიდანაც შევლას მოელოდა. მას ესმოდა ადამიანთა აღმარისანი, გამამხნეებელი ხმა.

მაგრამ ძნელი იყო მისი გადარჩენა, ძნელი იყო მისი მძიმე ტანის ამოწევა წყლიდან. ნავზეც არ იყო მისთვის ადგილი. გამოსავალი აბოვა იმავე მეთევზემ, რომელმაც პირველად შენიშნა ირემი. მან გადაწყვიტა ბუქსირზე აეყვანა იგი.

ნავი ახლოს მიიტანეს, მეთევზე კიჩოზე გაწვა და თავისი ღონიერი მკლავები ირემს ყელზე მოხვია. ნადირი უმწიერად და ნდობით მიეტმანა ადამიანს, მის დიდ, უწყინარ თვალებში ჩანდა ვედრება, აღარ იყო შიში, და ჭაბუკის სახე ენებოდა ირემის ფაქივ დრუნჩს.

მაგრამ ზღვა, თითქოს მსხვერპლის წართმევისათვის შრისხანებსო, ახალი ძალით გადავიდა შეტევაზე. ქარისაგან აწვირთებული ტალღები მძვინვარედ ეძგერნენ ნავს, რომელიც ხან სწრაფად მოექცეოდა ტალღებს ზურგზე, ხანაც ისე ეშვებოდა ძირს, თითქოს უფსკრული სახაში ვარდებოდა.

უკვე მეთევზეებიც საფრთხეში იყვნენ, მათ შეეძლოთ პირუტყვი ბედის ანაბარა მიეტოვებინათ, მაგრამ ადამიანებმა არ გააკეთეს ეს...

იყო წუთი, როცა სტიქიამ თითქოს აჯობა ადამიანის ნებისყოფას. ვეება ტალღამ ისე დაარტყა, რომ მეთევზემ ვეღარ შეიკავა ირემის მძიმე სხეული. კიდევ წაში და ყველაფერი გათავდებოდა. მაგრამ ადამიანმა მთელი ძალები დაძაბა და პირუტყვის რქებს სწვდა.

...ნავი მიაპობდა ტალღებს და შეუპოვრად მიიწევდა ნაპირისაკენ, თან არნახული ნადავლი მოჰყავდა.

ირემი მძიმედ ქშინავდა, მის ყელს ჩახვეული ჭაბუკიც დეღავდა. რაღაც თბილ, გულის ამათრთოლებელ გრძნობას აეტანა. რომ გეკითხათ, ვერ ავისხნიდით რა ემართებოდა. მან მხოლოდ იცოდა, რომ ამ უწყინარი პირუტყვის სიცოცხლე მისთვის ახლა ძალიან ძვირფასი იყო, თვითონაც არ უწყოდა რატომ, მეთევზე ხან ჩუმად უმღეროდა ირემს, ხან ჩურჩულით ელაპარაკებოდა.

— ეს, შე უხერხული მეზღვაურო! ეს რამ ჩაგადენინა, ზღვაში რამ გააღაგადო, ჩვენ რომ არა, თევზების ლუქმა გახდებოდი, შენ ზღვას არ იცნობ, ეს შენი ტყიანი მთები ხომ არა გგონია.

მის ხმაში ისმოდა მწუხარებაც და აღერხიც. და ზღვაც თითქოს მოაღბო ამ გულისამაჩუყებელმა სურათმა. დამშვიდდა, შეწყვიტა ბორგვა და ფორიაქი.

ნავიც მიაღდა ნაპირს. ირემმა იგრძნო ფეხებქვეშ მიწა, ჭერ კიდევ ცახცახებდა, მაგრამ მაინც გადაღდა რამდენიმე გაუბედავი ნაბიჯი და მძიმე ქშენით მიწაზე დაეცა.

როცა დაისვენა, წამოიჭრა, ამაყად მოიდგრა ყელი, უკანასკნელად შეავლო თავისი ცოცხალი თვალები ადამიანებს და თამამად გასწია ბარდებისაკენ. ირემს ერთხელაც აღარ მოუხედავს ადამიანისაკენ. კიდევ ერთი ნახტომი და ის საბოლოოდ მიეფარა თვალს.

ხოლო ზღვის ტალღები ისევ ისე შრილით მოდიოდნენ ნაპირისაკენ, უერთდებოდნენ მთებიდან წამოსულ ჩხრიალა ნაკადულებს, მწვანე ტოტები ისევ ირხეოდნენ დაბურულ ტყეებში და მთელი სამყარო თითქოს მშისა და სიცოცხლის საწეიმო საგალობელს ამბობდა.

გორის უბატბარაშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა



ოსი ქალები წყაროზე

ფოტო მ. არჩვაძისა



ფიროსმანის ფანჯარული პორტრეტი

პარიზიდან ჩვენი თვითმფრინავით გამომგზავრების ერთი საათით ადრე ოცულ „ბრებანტი“, ქართველმა კოლექციონერმა შემოთღებელი სურათი მოგვიტანა და გვითხრა — „ეს ფიროსმანის პორტრეტი“.

ნიკო ფიროსმანიშვილის ზეთის ფერებით ნატურიდან შესრულებული პორტრეტის „აღმოჩენა“ მოულოდნელი იყო და დაუჭერებელი. მაგრამ, ტილოზე (მისი ზომა ნახევარ მეტრს თუ აღწევს), ეტიუდურ მანერაში, ფუნჯის თავისუფალი მსუყე მონასმით, პროფილით გამოხატული ქართველი მამაკაცის შთაგონებული უბრალო სახე, თმასა და წვერ-უღვაშში შერეული ქაღარით, კეხიანი ცხვირით და მოღლილი თვალებით, თითქმის საკამათოსაც არ ხდიდა, რომ პორტრეტზე ფიროსმანია.

პარიზიდან შინ დაბრუნებულს „აღმოჩენის“ სიხარულიც გამოჰყვა, და სინანულიც, რომ დიდი ქართველი მხატვრის ეს ერთადერთი ფერწერული პორტრეტი ნატურიდან, უცხო ქალაქს იყო დამკვიდრებული.

არც გამივივრდა, რომ კოლექციონერს ჭერჭერობით გაუჭირდა მსხვერპლის გაღება და შემდეგისათვის გადასდო „ფიროსმანის პორტრეტის“ სამშობლოსათვის გადაცემა.

რა დამრჩენოდა! გულწრფელი მადლობა ვუძღვენი კოლექციონერს ჩემდამი გამოჩენილ უურადლებისათვის და პორტრეტიდან ფერადი ფოტოს გადაღების თხოვნა-ლა შევებდე.

გავიდა ხანი. პარიზიდან მიღებულ ბანდეროლში ჩემთვის საგანგებოდ გადაღებული ფიროსმანის პორტრეტის თითქმის ნატურალური ზომის ფერადი

ფოტო აღმოჩნდა და პარიზელი კოლექციონერის უანგარო გარჯის შედეგად შესაძლებლობა მომეცა ამჟამად პარიზში დაცული „ფიროსმანის პორტრეტი“ ჩვენი საზოგადოებისათვის გამეცნო.

თბილისში ნ. ფიროსმანის ნაცნობ-მეგობრებმა და კერძოდ მხატვარმა ლადო გუდიაშვილმა, დაადასტურეს, რომ ეს ნამდვილად ნიკოს პორტრეტი.

პორტრეტის წარმოშობის ისტორია და მისი ავტორის ვინაობა კი ჭერჭერობით დადგენას მოითხოვს.

კოლექციონერის, ანუ ახლანდელი მისი მფლობელის გადმოცემით, პორტრეტი ადრე მხატვარ ვერა ლებედევას ოჯახში ყოფილა დაცული; შემდეგ მხატვარი ქალის დანარჩენ ქონებასთან ერთად, აუქციონით გაყიდულა და მას საკმაოდ გასძნელებია კიდევ მისი მიკვლევა-გამოსყიდვა.

„ფიროსმანის პორტრეტს“ მხატვრის ხელმოწერა არა აქვს. მაგრამ მისი წერის მხატვრული მანერა და ოსტატობა გამოირიცხავს მისი პირველი მფლობელის — მხატვარ ვერა ლებედევას ავტორობას და უფრო მოსე თოიძის ადრინდელ ნამუშევრებს უახლოვდება. ამასთან, პორტრეტის მარჯვენა ქვემოთა კუთხეში გაკრული ხელით გაკეთებული წარწერა «*3a 2 yaca*» მისი ნატურიდან შესრულების ფაქტსაც ადასტურებს და ავტორის მიერ ფიროსმანის ნაცნობობის აუცილებლობასაც.

ფიროსმანის პორტრეტის ფერადი რეპროდუქცია იბეჭდება პირველად.



ეროვნული
ბიბლიოთეკა




ანანური.

სიონის წყალსაცავში

უოცოჯიულები
თენგიზ ფურცხვანიძისა





ქვეყნის



— ბიჭო, შენთვის რამდენი სათბურა გავიყვანე? —
მოთხარი?

— რა გინდა ანდრო, რას გადამგიღე ძველი ხურჭინივით?

— დავრჩეთ და ამაღამ მატარებელს გავყვებით. სულ ერთია, ღამე გინდა შინა გძინებია და გინდა მატარებელში.

გიგამ ხელი ჩაიჭინა.

— ეჰ, შენ თუ ერთი გაქირი გასწიე, მერე თუ გინდ კეტით დაგადგენ, ვეღარ დაგაყოლებენ.

— აბა რა უნდა გავაკეთოთ, რო დავრჩეთ?

— ცირკში წავიდეთ.

— ცირკში რას უნდა უყურო, დათვები ჭერ არ გინახავს?

— დათვები რა შუაშია?

— თუ გინდა შენ დარჩი, ანდრო, მე რო დღეს სახლში არ ჩავიდე, რა ბიჭობაა!

— სულ ერთია, ავტობუსი აღარ მოვა.

— არ მოვა და მსუბუქ მანქანას ვიქირავებ.

— რა აჩემებია ვითომო... დავრჩეთ და კაი პურ-მარჩის ვყისრებ.

გიგამ გაიღიმა. ღიმილისაგან ისევ დაუპატარავდა თვალები და შეცვლილი, დაპირებულური კილოთი თქვა:

— ბაღლო, ერთი საათით ადრე რომ მიხვიდე შინა, დედაშენისათვის ისიც კარგია, მარტოხელა დედაკაცი დააგდე ამოდენა სახლში და აღარც კი გინდა მიხედო!

ანდროს აღარაფერი უთქვამს, გაწბილებულმა ხელი ჩაიჭინა, ხურჭინე ჩამოჯდა და ენაზე ქვა დაიკიდა.

ისედაც პატარა ანდროს მობუზული იქდა თავის გულა-ნაბაღზე და მტვრიან ასფალტს ჩხირით ხაზავდა.

დუმდნენ მგზავრებიც. მერე როდის-როდის ქუჩის გაღაღმა პატარა ძველი ავტობუსი ჩამოვდა და შოფერმა დაიძახა: აბა, წინანდლის მგზავრებო და დავცაურდნენ, მძიმე ჩემოდნებით გადასტერეს ქუჩა, მწყვეტებმაც აიკრეს თავიანთი გულა-ნაბაღი. ხურჭინებით ხელში ფრთხილად გადადიოდნენ ქუჩაზე, აქეთ-იქით იყურებოდნენ დამფრთხალი, შეშინებული თვალებით.

ავტობუსი მალე გაივსო მგზავრებითა და დაიძრა. გიგა სავარძლის საშურტეს მიაწვა, გაიშორა და გაიფიქრა:

„თუ ყოჩაღად იარა ამ შოფერმა, კიდევ კაი დროზე ჩავალთ“.

* * *

ავტობუსი შეჩერდა, შარაზე ორი მგზავრო დატოვა და გზა განაგრძო. ანდროს ქუდი მოიხადა და ხელის გულზე დაიბერტყა.

— სადღეებელივით დამაქვლია, ამაღამ კი დამეძინება მკვლარეობით!

ბნელოდა, სოფელს არ ეძინა, მაგრამ უკვე იგრძნობოდა სოფელური ღამის მყუდროება.

— არ წავიდეთ? თუ აქ ვიდგეთ, — გაიცინა გიგამ.

— წავიდეთ მაშა, — ანდროს მხრებზე ხურჭინი ძოიკიდა.

შარაგას გაუყვნენ გიგა და ანდრო. ღამე მარაგანი იყო და თბილოდა. რიყის გაღმით, ალბათ კლუბის ენოდან უბან-უბან ნისლივით მიიწლანებოდა „მრავალმნიშვნელო“ და ღამის სიჩუმეში სოფელს კიდით კიდემდე სწვდებოდა. ეტყობოდა კინო ჭერ არ დაწყებულიყო, და ფირფიტებს უკრავდნენ. გზად ვიღაც შეეყარათ მწყვეტებს. ერთმანეთს დააკვირდნენ, მაგრამ სიბნელეში ერთიმეორე ვერ იცნეს. ცაზე აქა-იქ ციმციმდნენ ვარსკვლავები

ლებს ფარა, ეს შრიალი ზაფხულის დადინებული წვიმის ხმას წააგავს. ფარის მოშორებით, გულაღმა მოთიბულივით გვიდა მეცხვარე და ოცნებობს...

ორ თვეზე მეტია შინ არა ყოფილა გიგა, ცივი, გაძალღებული ზამთარი დადგა და ცხვარს ვეღარ დააღწია თავი.

ქუჩაში განუწყვეტლივ მიდიოდნენ ავტომანქანები, მოსახვევში ღრჭიალებდნენ საბურავები.

იღვა გიგა და თვალებით მიაცილებდა მანქანებს. ცისფერი „ვოლგის“ ფანჯრიდან ქალიშვილები იყურებოდნენ და იცინოდნენ. ვერ მიმხვდარიყო გიგა, მოეჩვენა თუ მართლა მას უყურებდნენ.

„ღამაზეები კი იყვნენ, — გაიფიქრა, — მაგრამ ახლა არაფერი არ მინდა, ის „ვოლგა“ მომცა, ორ საათში შინ ვიქნებოდი“.

თვალწინ წარმოუდგა თავისი კარმიდამო, გახორბლილი კაკალი და დიდი ეწო. ზურგით იღვა და არც უგრძვნია როგორი დაუინებოთ უყურებდა ანდროს, იგი ხეს მიჰყუდებოდა, ფეხი ფეხზე გადაედო და უხმოდ ათვალდებოდა გიგას განიერ მხრებს. ეჩვენებოდა, რომ ეს მხრები მეტი სიფართოვის გამო ოღნავ მოღუნულიყვნენ, როგორც ნედლი თავზე შეიღუნება ხოლმე ფიცხი შვის ქვეშ. ამ მხრებში ველური კამეჩის ძალა იმალებოდა.

უცებ შური თუ სიხარბე იგრძნო ანდროს, თვითონაც ღონიერი იქნებოდა, დაბალი და ჩინა რომ არ იყო.

„ავტობუსი აღარ მოდის, — გაიფიქრა მერე მან, — ალბათ გზაში გაფუჭდა, თუ ნახევარ საათში არ მოვიდა, მაშინ კი დავიყოლიებ გიგას აქ დარჩენაზე და ამაღამ ცირკში გავუტყვებ“.

გიგა შემობრუნდა.

— რამდენი საათია, ბაღლო?

ანდროს ხეს მოსცილდა და ხელები დაიბერტყა.

— საათი კი არა, ცემით უნდა მოგკლას კაცმა! გიგას ღიმილისაგან თვალები დაუპატარავდა და ანდროს ამ ღიმილითვე ჰკითხა:

— რათა ბაღლო?

— რათა და დმერთმა რო არ იცის შენი თავი. შენ ქრისტიანი ხარ, დილას აქეთ არაფერი მიქამია, შიმშილით კუჭი მიწივის, გითხარი ამაღამ მატარებელთ წავიდეთ მეთქი, არ დამიჭერე. ახლა იყავი და ელოდე.

— მე შენთან ერთად არა ვარ, ქორწილიდან კი არ მოვდივარ, თუ არა და რომელი ბეტრე მღვდელი შენა ხარ, ჭერზე ბატკანი არ გყოფნიდეს, მიდი, ერთი ფუნთუშა იყიდე, ჭირათაც გეყოფა და ღვინავდაც.

— ფუნთუშა, რომელი კაკანთ რძალი მე მნახე!

— არა მაშ, ჩოხან-ყაურმას მოგართმევენ.

— ეჰ, კაი სატყეპი ხარ, მაგრამ რა გიყო?

გიგამ ისევ გაიღიმა, ის ყოველთვის იღიმება, როცა ანდროს ასეთნაირად ელაპარაკება, ანდროს კი რაღაცნაირი შენაგან კმაყოფილებასა გრძნობს, თავისივე ნათქვამი სადღაც სჭერა და რწმინა ემატება.

მგზავრები უსმენენ და რატომღაც იღიმებიან. მე უფრო გადაიხარა. სუსხმა იმატა. მთელი ქუჩა გადაფარა ჩრდილმა. ავტობუსი, რომელიც სამ საათზე უნდა მოსულიყო, არ გამოჩნდა. მესუთე საათი იყო დაწყებული, გინდაც მოსულიყო ავტობუსი. ვინ იცის, კიდევ გაბრუნდებოდა უკან?

— აბა, ერთი კიდევ ნახე შენი საათი, ანდროს! ანდროსი დიდის ამბით დახვდა მაჯის საათს.

— სამს გადაცილდა, აღარ მოდის ავტობუსი და ეგ არი!

— მაშ, რა ჩემი გამჩენი გაუწყრა, მა? ეგება შენი საათი სწორი არც არა.

— ვისი, ჩემი? სანაძღვოს დავდებ თუ წუთში იყოს განსხვავება.

— ფუ, დაწყველოს ეშმაკმა ჩვენი ჭიბრი გახდა ეგეც რაღა!

— გითხარი, აღარა დირს. მეთქი ლოდინი... თუ მოსასვლელი იყო, აქამდე მოვიდოდა.

— რა ჭანდაბა დემართა აბა?

— ნაღები დაუცდებოდა გზაში და სადმე დავარდებოდა. — ანდროს უღვაშებში გაეზნა ღიმილი და თვალღების ხამხამს მოუხშირა.

— უშნო მასხრობა გიყვარს ხოლმე, ბაღლო, ხუმრობისთვის გცხებია?

ანდროს ხითხითებდა, გიგას თვალთ ზომავდა და კაუჩუკით იძვებებოდა, ცდილობდა მის მხრებს მაინც გატოლებოდა, რომ სიმალღეში სხვაობა ცოტა გაბათილებულიყო, მერე თვითონ გიგამაც გაიცინა.

— ნეტავი შენა, დარდი არაფრისა გაქვს, ბაღლო!

— დარდი რისა უნდა მქონდეს ვითომდა, ხეზე რო ავიდე, ძირს არაფერი დამჩნება.

ორივენი იღიმებოდნენ. იღიმებოდნენ ავტობუსის მომლოდინე მგზავრებიც.

ისინი ავტოსადგურში, მეთერთმეტე გაჩერებასთან იდგნენ და ელოდნენ სოფელში წამსვლელ ავტობუსს; ჩაცმულობით სხვებისგან განირჩეოდნენ, ეცვათ მოკლე, გააოხილი ტუპაუტები, ეხურათ პატარა თუშური ქუდები და ტანსაცმელზე მატყლი-სა თუ ახლად გათიბული ბალახის სურნელი დამკრავდათ.

მთების შორეულ მწვერვალებზე თეთრწოდებულა და დარჩენილიყო თოვლი, ხოლო ფერდობებზე უკვე ბიბინებდა ჭეჭილი. იყო კიდევ რაღაც იდუმალი ნიშანი გაზაფხულისა, რომელსაც იგრძნობდა და ვერ იტყვი.

მზე გადადიოდა, ჩასავალისკენ მიიწევდა და ჩრდილი ტროტუარიდან ქუჩაზე იწვებოდა.

მდუმარე მგზავრები საათებზე მალემალი იყურებოდნენ და მოთმინებას ძლივსლა იოკებდნენ.

მეათე გაჩერებასთან საიდანღაც მოსული ავტობუსი ჩამოვდა. მანქანა ნელა იცლებოდა ხანგრძლივი ჯდომით დახუთული მგზავრებისაგან.

სულ ბოლოს ვიღაც ახალგაზრდა ქალი ჩამოვიდა. ჩემოდანი ხელიდან ხელში გადაინაცვლა და დაქმუნდნენ პალტოზე ხელი ჩაისვა. მალელი წვივები მქონდა ქალს, თვითონაც მალელი და შოლტივით მოქნილი იყო. გიგამ თვალი გააყოლა. ქალი თანდათან შეერია ხალხში, მხოლოდ თავილა მოჩანდა, რომელიც სხვა თავებს წემოთ მიცურავდა. მერე ისიც გაქრა თვალთაგან და გიგამ დაინახა ჰორი-ზონტზე გაწოლილი ღრუბლის ქულა, რომელიც ცხვრის ფარასავით მიიწლანებოდა ლურჯ ცაზე. იქნებ ის ღრუბელი მართლაც შირვანის თავზე იყო, საიდანაც ახლა გიგა ბრუნდებო?

თვალწინ წარმოუდგა შირვანი. მათი ფარები იქ იწამორტებენ. იქ, უკიდვანო ტრამალზე მიშრი-

და თხელი ბურუსით დაფარულ კაბადონზე ჩრდილოეთიდან სამხრეთით ირიბად გადაწოლილია ირმის ნახტომი.

- შენი სახლიც გამოჩნდა, გიგავ!
- ჰო, აბა.

და გიგამ იგრძნო სისხლი ტალღასავით როგორ მიეხეთქა გულზე. ეზოს ბოლოში ოიანამ წამოიყევა და წკმუტუნით მიეგება პატრონს.

ორივენი შეჩერდნენ. აივანზე გიგას მეუღლე გამოვიდა.

- რომელი ხარ მანდა?
- ქმარი მოგიყვანე, ქეთო! — ანდრია სიბნელეში გაიღიმა.

გიგას მეუღლისაკენ არ გაუხედავს, მაგრამ ტანმა თუ გონებამ უგრძნო იმ წუთს რას განიცდიდა ცოლი, რომელმაც მძიმე ნაბიჯებით გაიარა აივანზე.

— რას იზამ ახლა შენ, ხვალ კანტორაში არ ავიდეთ? — ანდრია ხურჩინს მხარი უცვალა და განწე გადგა.

- უნდა ავიდეთ, აბა!
- ჰო, რა ვიცი, ადრე ამოდი, სანამ თავმჯდომარე სადმე წავა. თორემ მერე იმას ეშმაკიც ვეღარ დაიხელთებს. აბა, ღამე მშვიდობისა.

— კარგად იყავი... გესმის? — უზრგოდან დაადევნა გიგამ — მოსულიყავ, ორიოდ ჰქია გვეთუთქა.

- ხვალისთვის იყოს, გიგავ!

ნელი, დაღლილი კაცის ნაბიჯით მიჰყვებოდა ანდრია ორღობებს და ესმოდა:

- მოგეყვანა, კაცო ის ბიჭი ვახშამზე, ასე რათ გაუშვი!
- რა ვქნა, ვუთხარი და...

ღობე-ღობე მიიწოლა ნებოდა ანდრია, კვლავ ეყურებოდა და თითქოს ხედავდა კიდევ: გიგას სახლის გადღმა შაშვიანთ იაგორას სახლის კარი გაიღო და ჩაბნელებულ ეზოს სინათლის გრძელი ზოლი დაეცა.

- კარგში ქალის ლანდი აისვება.
- რა არის ქეთო, ვის ელაპარაკებოდი?
- აი, გიგა ჩამოვიდა და...

ლანდი ოთახისკენ შებრუნდა და იქ ვიღაცას უპასუხა:

- გიგა მოსულა — მერე ისევ მობრუნდა და ხმას აუწია: — როგორა ხარ, გიგავ?
- ოჰ, ანო, შენ თავთ რასა იქ?
- ჩვენ რა გვიჭირს, რა... შენ კი ძვირი სანახავი გახდი, აი!

- რას იზამ, მწვემოსობა ეგეთია და...

მერე სიჩუმე დგება. რიყის გაღმა ეზოდან აღარც „მრავალუმიერი“ ისმის და აღარც ხორხოცი. სოფლის პატარა ღელეს დარჩენია ბურთი და მოედანი და გაუბედავი ლილინი წამოუწყვია. ხევიდან მონაბერი ცივი ქარი უსუსხავს სახეს ორღობეში მიმავალ ანდრიას და ამჭერად თითქოს ცხადლივ ხედავს:

ზის გიგა ტახტზე და ცოლი სიცილით ხდის ჩექმას, მერე სავსე ტანის რხევით მიდის ღუმელისაკენ, წყალს ადგამს გასათბობად. გიგა ოთახში შედის, მძინარე ბიჭს აკვირდება და იღრბება, როგორც ციცი ხოლმე.


ანდრია სამილიან წყაროსთან შეისვენა, ხურჩინი მოიხსნა და შუათანა მილს დაეწაფა. აქედან მისი სახლი წიარს აღარ იყო.

სახლებში რიგრიგობით ქრება სინათლები. ცოტახანიც და ზეზე აღარაინ დარჩება.

ანდრიას უეცრად ხასიათი მოეშალა, ასე გონია უშუალო დაეუფლა და იარაღი აპყარაო.

შირვანიდან სხვადროსაც დაბრუნებულა ანდრია, მაგრამ აგრე მოუამულ გუნებაზე არ დამდგარა. თითქოს ყველა კარი, ყველა ოჯახი მისთვის უცხო იყო და დარაზულა, თითქოს რაღაცას ელოდა და იმედი გაუცრუვდაო.

მაინც რა იყო ასეთი, რას ელოდა შირვანიდან დაბრუნებული მწყემსი?



ამას წინათ „ნაკადულმა“ გამოცა ნინო ნაკაშიძის რჩეულ თხზულებათა კრებული. ამ გამოცემამ ცოცხლად აღადგინა ჩვენს თვალწინ მთელი ის მდიდარი და მრავალფეროვანი გზა, რომელიც მწერალმა გაიარა.

1952 წლის ზაფხულში ნინო ნაკაშიძე ქვიშხეთის მწერალთა სახლში ისვენებდა. ისვენებდა კი? დღე ისე არ გავიდა, რომ ტრისკარის, ახალდაბის, სურამის ან წაღვერის პიონერთა ბანაკში არ მიეწვიათ სტუმრად. თუ სადმე მიწვეული არ იყო, ქვიშხეთის ბავშვები ხომ სულ მასთან იყვნენ! ეხვეოდნენ, ეალერსებოდნენ საყვარელ მწერალს, ათას რამეს ეკითხებოდნენ. მწერალი ისეთი გატაცებით ესაუბრებოდა თავის ნორჩ მეითხველებს, რომ ჩვენ, დიდებიც სულგანაბელი ვუსმენდით ნინოს.

ნინო ნაკაშიძის სახელთან დაკავშირებულია ქართული საბავშვო ლიტერატურის ისტორია მე-20 საუკუნის მთელი პირველი ნახევრის მანძილზე.

ნ. ნაკაშიძის აღრინდელი საბავშვო ნაწარმოებები მძაფრ კონტრასტზეა აგებული და ეს სავსებით გასაგებია, რადგან მანამდე თვით ცხოვრება აღსავსე იყო უღარესად მძაფრი სოციალური კონტრასტებით. ნ. ნაკაშიძის მაშინდელ მოთხრობებში ჩვენ ვხედავთ მოქმედ პირთა ორ ჯგუფს. ერთნი არიან მდიდართა შვილები, ცხოვრების მიერ განებობებული ბავშვები. მეორენი — ღარიბ-ღატაკთა ოჯახების პირშომნი.

მათია, დათიკო, მაგდანა, ეკა — კეთილი და სათნო, გულმართალი ბავშვები არიან, მათში თავმოყრილია ყოველივე კარგი, რაც კი ხალხს აქვს მომადლებული. რაც შეეხება ნიკას, ლეოს, რუსიას, ისინი გამსჭვალული არიან პატივმოყვარეობის, ეგოიზმის, მედიდურობის გრძობებით. ასეთად აღზარდა ისინი წრემ, გარემომ.

მწერალი ბრალს სდებს ბურჟუაზიული საზოგადოების აღზრდის მთელ სისტემას, დიდი მხატვრული სიმართლით ახილებს ამ საზოგადოების შინაგან სიმანჩქესა და სიღამპლეს. მას გარდუვალად მიაჩნია მტაცებლურ მორალსა და საშინელ

ეგოიზმზე დამყარებული წყობილების დაღუპვა. ეს მამხილებელი პათოსი მუდამ მძაფრად იგრძნობოდა ნ. ნაკაშიძის ნაწარმოებებში.

ნ. ნაკაშიძე ცხოვრების განახლებას, სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ახალ თემებზე დაწერილ თავის ნაწარმოებებში ჩვენი ბავშვების ცხოვრების ნათელ სურათებს ხატავს; თუ წინათ არსებული სინამდვილის გამოსახატავად წყურალ-ქალი მუქ საღებავებს მიმართავდა, ახლა იგი ცოცხალი და ნათელი ფერებით ამკობდა ბედნიერი და სიცოცხლით აღსავსე საბჭოთა ბავშვების ტიპურ სახებს. დაკვირვებული და გამოცდილი მწერალი მხატვრულ სიტყვას ბავშვების აღზრდის საქმეში დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი აღვიძებდა ჩვენს ბავშვებში პატრიოტულ და კეთილშობილურ გრძობებს, საუკეთესო ჩვევებს.

მწერალი-ქალის საღიან კალამს ეკუთვნის ბევრი კარგად მოფიქრებული, შთამაგონებელი, შემეცნებითი მნიშვნელობის ზაღაბარი: „მახობელი“ „მჭედელი“, „გინ დათესა პირველი პური“ და სხვ. ამ ზაღაბრების სიუჟეტები ცხოვრებიდან არის აღებული. რასაკვირველია, მწერალი თავის ზაღაბრებში ფანტაზიას მიმართავს, მისი გმირები სასწაულებს ახდენენ, მაგრამ იმავე დროს, მტკიცედ დგანან მიწაზე. მკითხველს სჯერა, რომ ადამიანი ყოველს შემძლეა, რომ ადამიანის ძალას ნამდვილად შეუძლია დაიმორჩილოს ბუნების სტიქიური მოვლენები.

1964 წელს გამოქვეყნდა ნ. ნაკაშიძის „მოგონებანი“, რომელიც ქართული მემორარული ლიტერატურის მნიშვნელოვანი შენაძენია. საგულისხმოა მისი წერილები საბავშვო ლიტერატურაზე, რომლებშიც გაბედულად არის წამოყენებული და გადაწყვეტილი საბავშვო მწერლობის მთელი რიგი აქტუალური და ფრიალ მნიშვნელოვანი პრობლემები.

დიდა ის ღვაწლი, რომელიც ნ. ნაკაშიძის მიუძღვის ჩვენი საბავშვო ლიტერატურის წინაშე.

ვლ. ჯიბუჭი

საქართველოს კარიბჭისთვის

მაგრამ ვიდრე ბოლქვაძემდე მიაღწევდნენ, მტერმა ახალი იერიშისათვის მზადება დაიწყო. ქვემეხების ქუხილს საავიაციო ყუმბარების აფეთქების ხმა ერთვოდა, უღელტეხილი ჯოჯობეთს დაემსგავსა.


ამ ძნელ წუთებში კაპიტანმა ლადო თათარაშვილმა მართლაც საარაკო სულის სიმხნევე გამოიჩინა. ის პირდაპირ შეიჭრა ბრძოლის შუაგულში და შენიშნა თუ არა მიტოვებული დაზვის ტყვიამფრტვევი, მყისვე მიუწვა მას. მე მაშინვე აღფაიქე მოვიკითხე, ის უმალ გამოცხადდა. დავავალე თავისი მებრძოლებით მარჯვენა ფრთას მიშველებოდა... გერმანელები მაინც მოიწვედნენ, მაგრამ თათარაშვილის ტყვიამფრტვევი ისე სცელავდა მათ, რომ ერთი ნაბიჯიც ვეღარ წამოიწიეს წინ. ჩვენს მარჯვენა ფრთას მაინც უჭირდა, ლადოს ტყვიამფრტვევის ცეცხლი იმ მხარეს ვეღარა სწვდებოდა.

— ალიოშა, ცუდად არის საქმე, მარჯვენა ფრთამ წინააღმდეგობა შესწყვიტა! — გასძახა ლადომ აღფაიქეს. აღფაიქემ ხელის ტყვიამფრტვევი მოიმარჯვა და თათარაშვილს მიეშველა. მტრის მოიერიშე მწკრივები, აქამდე თამამად რომ მოდიოდნენ, ახლა აიბნა, ზოგმა თოვლში ჩაიკეცა და ზოგიც გაიქცა.

მაგრამ მალე ისევ დაიწყეს წინ წამოწევა, თათარაშვილის ტყვიამფრტვევი ჩაჩუმებული იყო. თურმე ეზუნა გასქედოდა. აღფაიქე მის დასახმარებლად გაეშურა, თავისი ხელის ტყვიამფრტვევი კი კეზევადეს დაუტოვა. მალე შეფერხება თვითონ ლადომ გააწორა, აღფაიქე უკანვე გაიკოცა და თავის ტყვიამფრტვევს დაუბრუნდა. მაშველი არსაიდან ჩანდა, ჩვენი ერთი მუჟა ჯარისკაცები და ეს ორი ტყვიამფრტვევი კი კიდევ რამდენ ხანს შესძლებდნენ მტრის შეჩერებას! კაპიტანმა თათარაშვილმა მაინც რაღაც სასწაულებრივი გამძლეობა გამოიჩინა და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე ტყვიამფრტვევისათვის ხელი არ გაუშვია.

ხელახლა ჩაჩუმდა თათარაშვილის ტყვიამფრტვევი, და მივხვდით, რომ ეს ჩვენი ლადოს აღსასრულიც იყო. უმალ გავეშურეთ იქით — აღარც კაპიტანი ჩანდა და აღარც ტყვიამფრტვევი, მარტო შავი ორმო დარჩენილიყო.

თვალი მოვაველე იქაურობას. თოთხმეტი ოფიცერი და ჯარისკაცი-და გყავდა. მალე ჩამობნელდა კიდევ და ახლა საჭირო იყო იმაზე ფიქრი, რომ დროშაც გადაგვეჩინა და ეს მებრძოლებიც გავვეყვანა, რომ კვლავ წინ დავხვედროდით მტრის გათავხედებულ ურდოს და საქართველოს კარიბჭისაკენ არ გამოგვეშვა ისინი.



თეატრის ჩვენს მიხედვით
 თეატრული
 გიგანტობა

ორმოცი დღეა ჩუმჩუმად ხატავს
 სადღაც ნაპოვნი რკინის ნატეხით,
 ძილს უფრთხობს დუმბილს — მთელმარე კატას,
 მტკივან თითებში კვიის მჩატე ხე.

მონათა ციხის კედელი მუქი,
 გაწამებული კაცის სხეული,
 ვიწრო სარკმელში შეჭრილი შუქი
 და ბორკილები გადამსხვრეული.

გათიხისთვის

ხის

ხატავს

სალამოს სიგრილე აფართქალდა
 მიწაზე ამოვარდნილ კალმახივით
 და დედა-თბილისის მაღალ კართან
 მოდგა და უმატა მტკვარმა ხივილს.

მზე ყანწით ბლომდღე შეუსვია,
 მხარზე დღის სიფიცხე შეუსვია,
 ათასი მერცხალი ააფრინა,
 ქუჩებს და პაროსპექტებს შეუსია.

როგორც ცის მუქმწვანე აივანი,
 გაწაფხულის სუნთქვად მოვარდნილი,
 ტორტმანობს კომკავშირის ხეივანი
 ზღვა-შუქში შესული ხომალდით.

ჩამოდაბლდა ზეცა ქორფლიანი
 ვარსკვლავნი წამწამებს უმაღ ხრიან,
 გადავცქერით ქალაქს მობრიალეს,
 სამნი ვართ, მესამე — სტუმარია,

გაცრიატდა ბინდის ბაცი ფერი.
 თბილისის შუქ-ხანძარი ზე მოიწვეს,
 კიქაში ციაგობს რქაწითელი.
 ელდას აღღვრებლებს ლეონიძე.

ალექსის პარნისი იღიმება
 (თვალში ჩავარდნია ნამის წვეთი),
 სიმღერა დაკვირა მზის სიმებად,
 სხვა რა დარჩენია ამის მეთი...

არა, მას იმედიც ახლავს მუდამ,
 მზე მოვა, ამოუშრობს ნამის წვეთებს,
 მის გულში საბერძნეთი ახმაურდა,
 წყვლიადისათვის მას როგორ გაიშვებებს

ის მისი შვილია, არწივია
 მისი ველ-მინდვრების, მთა-ხევების,
 მის ძლიერ სხეულში კვლავ წივიან
 ტყვიის და ყუმბარის ნამსხვრევები.

ომის ქარდაკრული მასპინძელი
 სტუმრის დიდ ტკივილმა მიმიწიდა,
 თბილისში საბერძნეთს ვადღებგრძელებთ,
 საბერძნეთს გავეყურებთ თბილისიდან.

კუნძული ჰქვია...
 უსვრია ზღვაში
 შფოთიან მიწას ლოდი ვეება...
 მჭდარს ეგეოსის ლაქვარდის უღაში
 შავი ფერები გასდევს შრებდად.

კუნძული ჰქვია...
 გულბოროტ დემრთებს
 ზღვაზე დაუბამთ ის ბორკილებით...
 გადაპლავია ხიშტებით მყერდი
 და დამეები ხრავენ კბილებით.

დგას მარტოდმარტო...
 ვეება უბე
 ამოუვსია მრუმე საქნებით...
 ციხეთა კოშკებს — დევების შუბებს
 ღრუბლები სისხლის ცრემლებს აკმევენ.

ყეფენ ძაღლები...
 მეცხოვრეთა
 ჩექმის რკინები კედლებს კაწრავენ...
 იმ კედლებზე ღრო ნელ-ნელ მოწვეთავს
 ზღვაში ჩაშლილი ნისლის ნაწნავით.

სილად მოწვეთავს...
 მზის მოაბჯრენი
 ჩამწვედევითაო ოცი წლის წინათ...
 სულ პაწაწინა მიწის ნაქერი
 უწარმავარი ტკივილით გმინავს.

...რამ მოიყვანა აქ ზეთისხილი,
 როგორ მოხელდა მოსვლა სამწვენემ...
 სილაზე გლია ნიავი გრილი
 და ტალღას ლოკავს როგორც სიმწარეს.

შავი ქერიდან სითერთე მოთოვს,
 ქალარაა თუ ციაგი მთვარის...
 და ზეთისხილის პაწია ფოთოლს
 საკნის სარკმლიდან შენატრის თვალი.

ოცი წელია, ხის დროუამისას
 სცივია დღეე... როგორც ფოთლები.
 ქვის ტახტზე ცვივა...
 მოსდევს წამი წამს
 ცივ ჭურღმულებში უხმოდ მოფრენილს.

ოცი წელია ნაბერწყლებს აჩენს
 გული, ოცნება რომ აგვირისტოს,
 ზეთისხილის მის პაწია ნაქერს
 კაცი ახატავს ზეთისხილის რტოს.

ნატევი გულის შუქით შემოსა,
 რკინის ნატევიც ცხელ გულზე ლესა
 და, როს სარკმელზე მტრედი შემოსვა,
 სული ჩაედგათ მტრედსაც და ხესაც.

ხე აიტაცა ფრთოსანმა ფრთებით,
 გადმოატარა ზღვები და მთები
 და ჩემს თბილისშიც ჩამოიტანა
 ამაყი სული ბერძენი ძმების.

და დაჭრის, დაჭრის ის უცხო მტრედი,
 თეთრ ფრთაზე სისხლის უელავს წვეთი.
 ნატევიარ მკერდით,
 დაუხრელ ქედით
 იმ კუნძულივით დგას საბერძნეთი,
 მკერდზე ეხლება ავღარი მძაფრი
 და აკროპოლისს მაღალი აფრით
 მიარღვევს ღამეს.

კომკავშირის მთას აყრია ნამი,
 ნამის სარკეში ვარსკვლავი ანცობს.
 აღექსის პარნის, გვითხარი რამე,
 ქართულ ოჯახის ნათლია კაცო!

არ გახვენებდა, მე ვიცი, წუხელ
 რითმა რითმაზე ტყვიად მიჭრილი,
 შენ ხომ სამშობლოს სიცოცხლეს უმღერ,
 შენს სამშობლოში საკვდილმისჯილი.

შენს სხეულში ხომ ნამსხვრევებია
 გაცივებულის უკვე ლითონის
 ამერიკულის,
 ინგლისურის,
 და გერმანულის...
 თავზე მთვარე რომ დაგვჩერებია,
 რა გითხრა, ალბათ, იცი თვითონვე,
 მას ახლა შესცქერს შენი მამულიც.

მაშ კვლავ სოქვი რამე, როგორც ზღაპარი.
 შენი ხალხის და შენი მთა-ბარის,
 იმ ზეთისხილის ხის მომხატავის,
 თანამებრძოლის თუ წინაპარის.

მაშ სოქვი! გულმა რომ ცეცხლი არ ხარჯოს,
 მაშინ სიმღერას რა ეშველება?...
 იმ უცხო მტრედის ფრთას გაუმარჯო!,
 შენი მამულის დღის გათენებას!


მებრძოლი ხალხის ხმას გაუმარჯოს,
 უკვდავი სულის აგანგაშებას,
 გრიგალში განვილილ გზას გაუმარჯოს,
 მზის ნავსაღურში დღუზის ჩაშვებას!



ოთარ ღვინაშვილი

ნამდვილი ამბავი

მხატვარი დ. ერისთავი



306 არის მკვლელი?

ოპერატიული მუშაკმა ბორის მაცენკომ სწრაფად შეაღო სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების უფროსის პოლკოვნიკ ვლადიმერ ალბინოვის კაბინეტის კარი.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, თბომავალ „ციხარტყელადან“ ეს-ეს არის ახალი დაშიფრული რადიოგრამა მივიღეთ. მაიორი ვლასოვი გვაცნობებს, რომ სევასტოპოლის ნავსადგურში გემის შემოსვლის შემდეგ ხმელეთზე გადმოსულა ვინმე მიხეილ გიორგის ძე სეგედა. ეს უცნობი მოქალაქე თავისი საეჭვო მოქმედებით საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ გოდერძის მკვლეელი უნდა იყოს...

— გაქვთ თუ არა ზუსტი ცნობები, რომ უფრო დეტალურად განვიმარტოთ, რატომ მიიტანეთ ეჭვი ამ კაცზე?

— მაქვს მიხეილ სეგედა, ძიებამ დაადგინა, რომ გულის მანკით ყოფილა დაავადებული. იგი ბათუმის მახლობლად ნათესავთან მიემგზავრებოდა დასასვენებლად. სევასტოპოლის პორტში „ციხარტყელას“ შემოსვლის შემდეგ კი სეგედამ გადაწყვიტა მარშრუტი შეეცვალა, ფაცი-ფუციტ ჩაალაგა ტყავის პატარა ჩემოდანი და კაიუტის თანამგზავრს არც კი დამშვიდობებია, ისე ჩავიდა ხმელეთზე...

— მერე რა? განა ეგ ყველაფერი გვაძლევს საბუთს ვთქვათ, რომ ეს კაცი გოდერძის მკვლეელია?!

— გეთანხმებით. მიხეილ სეგედა, ადვილი შესაძლებელია, იძულებული გახდა სხვა მიზეზის გამო ჩასულიყო გემიდან. მაგრამ ძიებას, როგორც ვიცით, ხელთა აქვს მეორე, უფრო საფუძვლიანო ფაქტი, რომელიც მკაფიოდ ადასტურებს სეგედას დანაშაულს...

მაცენკო დაიხარა, მუხლზე დადებული პორტფელიდან სწრაფად ამოიღო რამდენიმე გადაბეჭდილი ფურცელი, მაგიდაზე დაულაგა პოლკოვნიკს და მშვიდი ხმით გააგრძელა საუბარი:

— თბომავალ „ციხარტყელას“ ლუქსში, ჩხრეკის დამთავრების შემდეგ, მაიორ ვლასოვთან ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ლეონიდ ლეონტიევი შევიდა. მან აცნობა მაიორს, რომ, ცოტა ხნით ადრე, ვიდრე გოდერძის სიკვდილს შევტყობდით, ის და სეგედა ერთად დავინახეთ. ეს ორი კაცი თურმე ლუქსის გამოდებულ კარებთან იდგნენ და ერთმანეთთან რაღაცაზე გაცხარებული დაობდნენ...

მაცენკო წამოდგა.
— ამხანაგო პოლკოვნიკო, — განაგრძო მან, — პროფესორ ლეონტიევის ამ საყურადღებო ჩვენების შემდეგ, ალბათ დამეთანხმებით, რომ ძიებას აქვს საფუძველი ეჭვი მიიტანოს სეგედაზე...

პოლკოვნიკი ჩაფიქრდა. მაცენკოს სიტყვებმა ის დაარწმუნა, რომ სეგედას საქციელი მართლაც ჭკვდა იმ ფაცი-ფუცსა და მღელვარებას, რომელიც წინ უძღვის და თან სდევს რაღაც სახარულ დანაშაულს.

რა იყო მიზეზი, რომ ბათუმისკენ მიმავალი სეგედა მოულოდნელად ჩავიდა სევასტოპოლის ნავსადგურში? რაზე დაობდნენ სეგედა და გოდერძი ლუქსის გამოდებულ კართან? იყო თუ არა მიხეილ სეგედა წინასწარი განზრახვით ასული გემზე, რომ გოდერძი მოეკლა და მერე ფარულად ჩასულიყო ხმელეთზე?

ჩაფიქრებული პოლკოვნიკი ერთ ხანს მდუმარედ შესცქეროდა მაცენკოს, მერე წამოდგა, გულისჯიბიდან ამოღებულ პაპიროსს სწრაფად წაუკიდა ასანთი და პირველმა დაარღვია მუდრობა:

— ამხანაგო ლეიტენანტო, ვიდრე „ციხარტყელადან“ მაიორი ვლასოვი ახალ ცნობებს მოგაწვდის, ოფიცერთა შემადგენლობიდან დაუყოვნებლივ შექმენით ოპერატიული ჯგუფი და პირადად უხელმძღვანელოთ სეგედს მოძებნის საქმეს — პოლკოვნიკი შეჩერდა, მაგიდაზე გადაშლილ რამდენიმე ფურცელს გადაავლო თვალი და ხელის აწევით დამთავრა სიტყვა — ძიების მთავარი ამოცანა ახლა იმაში მდგომარეობს, რომ სეგედამ საიმედოდ ჩავუკეტოთ ყველა გასაქცივი გზა და დროულად დავაპატიმროთ იგი...

ცოტა ხნის შემდეგ სამძებრო განყოფილების უფროსს, პოლკოვნიკ ვლადიმერ ალბინოვს აცნობეს, რომ მიხეილ სეგედა სევასტოპოლის ერთ-ერთი საუკეთესო სასტუმროს „გაზაფხულის“ მეხუთე სართულის მეცხრამეტე ოთახში დაბინავდა.

ამ ცნობამ პოლკოვნიკი გააკვირვა. ძნელი დასაჭერებელი იყო, რომ აღამიანი, თუ ის ნამდვილად მკვლეელი იყო, ასე მოიქცეოდა ხმელეთზე ჩამოსვლის შემდეგ, პოლკოვნიკი ფიქრობდა, რომ სეგედა ქალაქიდან გასაქცივი გზების ძებნას დაიწყებდა, ის კი დაბნეულ, ქალაქის ცენტრში, ყველაზე საუკეთესო სასტუმროში გამოქვამულა, თითქოს ბუზიც არ აფრენოდეს... როგორ, თვითონვე სტრის ტოტს, რომელზედაც წის? თვითონვე უმუდავნებს ძიებას თავის ადგილსამყოფელს? მოდი და ნუ გაიკვირვებ...

ოპერატიული ჯგუფი დაუყოვნებლივ მიაწყდა სასტუმროს, სულ მალე დაადგინეს, რომ მიხეილ სეგედა საბოლოდ საათის წინ მოვიდა „გაზაფხულში“, ერთადგილიან ნომერში დაბინავდა და ათი წუთი არც იყო გახული, მოღუშ ომა დასტოვა

ოთახი, სართულის მორიგეს თავისი ნომრის გასაღები ჩააბარა და ჩემოდნით ხელში ქალაქში რაღაც საქმეზე გავიდა.

დრო აღარ ითმენდა. მიხეილ სეგედა, რომელიც კარგა ხანია რაც სასტუმროდან წავიდა, მოსალოდნელი იყო, რომ წუთი-წუთზე უკან მობრუნებულიყო.

ლეიტენანტ მაცენკოს ბრძანებით სამძებრო განყოფილების სამი თანამშრომელი მოხერხებულად ჩასაფრდა შესასვლელში. სამივეს სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვა. ისინი მოთმინებით ელოდნენ სეგედას სასტუმროში დაბრუნებას.

ლეიტენანტს იმედი ჰქონდა, რომ ცოტა ხნის შემდეგ ყველაფერი დამთავრდებოდა: ოპერატიული მუშაკები ხელში ჩაიგდებდნენ სეგედას, რომელიც იძულებული გახდებოდა ყველაფერი ეღიარებინა და საბოლოოდ აეხადა ფარდა ლუქსში მომხდარი მკვლელობისთვის.

მაგიდასთან დახრილმა ვლასოვმა ის-ის იყო პოლკოვნიკ ალბინოვის სახელზე მოხსენებითი ბარათის წერა დამთავრა, რომ ლუქსის კარი ახალგაზრდა ოპერატიული მუშაკმა ელუარდ ხმარამ შემოაღო.

— გაქვთ თუ არა რაიმე ახალი ცნობები, ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო?

— მაქვს! — ეღუარდ ხმარა ხელის აღებით მიესალმა მაიორს, — თქვენს მიერ მითითებული რამდენიმე პიროვნების დაკითხვა ეს-ეს არის დავამთავრე. ჩემს ხელში დარჩენებული ფაქტების მიხედვით შემოძლია მოგახსენოთ, რომ გოდერძის მკვლეელი „ციხარტყელას“ კაფეს ოფიციალტი იგორ ვიშნევსკია...

მაიორმა გაცემით ახედა ოპერატიულ მუშაკს.

— იგორ ვიშნევსკი, თურმე, ბნელი წარსულის პიროვნება ყოფილა. იგი რამდენჯერმე იყო დაპატიმრებული ქურდობისთვის. სუთოფედ თვის წინ, როცა ვიშნევსკი უკანასკნელად გამოვიდა ციხიდან, რომელიდაც ნათესავის წერილით მივიდა კაპიტანთან და „ციხარტყელას“ კაფეში ოფიციალტად დაიწყო მუშაობა...

— განაგრძეთ, განაგრძეთ!

— იგორ ვიშნევსკის მიმართ წაყენებული ბრალდება, თავისთავად ცხადია, მართო იქიდან კი არ გამომდინარეობს, რომ იგი ბნელი წარსულის მქონე პიროვნება გახლავთ. ამ კაცის მიმართ ძიების დაიჭვება, უპირველეს ყოვლისა, მისი უცნაური და საეჭვო მოქმედების შედეგია. ამ საეჭვო მოქმედების შესახებ კი ნება მომეცით ახლავე დაწერილობით მოგახსენოთ ყველაფერი.

ხმარა წამოდგა, ლუქსის ღიშკოდ დარჩენილი კარი მიხურა და ვიდრე სავარძელში ჩაჭდებოდა, გზიდანვე გააგრძელა შეწყვეტილი საუბარი:

— ამხანაგო მაიორო, ძიებამ შეიძლება დადგინოდა ჩათვალოს, რომ სიკვდილის წინ გოდერძიმ ტელეფონით დარეკა კაფეში და თავის კაიუტაში ყავის მოტანა მოითხოვა. მოწმეების დაპირისპირების შემდეგ, იგორ ვიშნევსკი იძულებული გახდა გულწრფელად ეღიარებინა, რომ იგი პირველი აღამიანი იყო, რომელიც ყავით ხელში შევიდა ლუქსში და ხალიჩაზე დაგდებული მოკლული გოდერძის დაინახა...

— მერე?

— მოსალოდნელი იყო, იგორ ვიშნევსკი ამ შემთხვევის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებდა კაპიტანს. ოფიციალტი კი, რატომღაც, თავის კაიუტაში მიიმალა და მხოლოდ სევასტოპოლის ნავსად-

შრომის პოეზიას ქართულ ფოლკლორში უძველესი სათავეები აქვს. ხალხური პოეზიის მკვლევართათვის დღემდე უცნობი იყო ფურის წველის დროს ლილინით ნათქვამი ტექსტები, რომლებიც ძირითადად ფურისადმი დაყვავების შეძახილებს წარმოადგენს და შინაარსითაც ამ სპეციფიკური საქმიანობის ირგვლივ ტრიალებს.

როგორც მოსალოდნელი იყო, შრომის პოეზიის ეს სახე განსაკუთრებით გავრცელებული აღმოჩნდა საქართველოს მთიანეთში, მესაქონლეობის რაიონებში.

1964 წლის ზაფხულში მესხეთის ფოლკლორულმა ექსპედიციამ მოიპოვა ათობი, მცირე მოცულობის პოეტური ტექსტი, ხოლო უფრო მოგვიანებით, იმავე წელს, ანალოგიური ლექსები ჩაიწერეს ფშავ-ხევსურეთის ექსპედიციის მონაწილეებმა.

ფურის დაყვავების სიტყვიერ მასალას იმპროვიზაციული ხასიათი აქვს და უმეტეს შემთხვევაში ურითმოა. მხატვრულ ეფექტს აქვს მარტივი, ერთხმიანი მელოდია — ლილინი.

ფურის დაყვავების ტექსტების ავტორებად ჩვენში, ისევე როგორც სხვა ქვეყნებშიც, ცნობილი არიან მწველავი ქალები.

„ფურის დაყვავებისა“, უწოდა მთქმელმა მაშო ივანიძემ, სოფ. მუსხის (მესხეთი) მცხოვრებმა, ქვემოთმოყვანილ ლექსს:

ფურო, დაღა მისი,
ძუძუ-მკერდი ამსი.

იმავე სოფლიდან ფოფალა ოქრომელიძემ გვითხრა: „ფურს რო არ უმღერო, ისე არ მოიწველისო“.

ასეთივე ცნობა მოგვაწოდა ფშავში შუაფხოველმა დედუკა მთვარელაშვილმა: „თუ არ მეფერე ზროხას, არ მოიწველის, რძეს გადაჰმალავს, ზოგი ისეთი ზროხაა, რო გაუჯავრდე, ეგრე გახმება, თითქმის აღარც ამიღებს რძესა“.

როგორი სიყვარულით შეიღობენ ფშაველი ქალი მარჩენალ პირუტყვს:

მამიწველე, ნუ გამიჯავრდები
ხოშარულო, აკი კარგი ხარო,
არ იტლინო, ნუ დამიღვრი რძესაო.

გურიდან გემის გახვლის შემდეგ გამოცხადდა ფელიქს ეგოროვთან...

— დამთავრეთ თუ არა თქვენი პატაკი, ამხანაგო უმცროსო ლეიტენანტო?

— არ დამითავრებია. მთავარი ბრალდება, რომელიც ძიებამ მკვლელობის შესახებ შეიძლება წარუდგინოს ვიშნევსკის, ეს არის მისი გასისხლიანებული წინაფარი, რომელიც ოფიციალურად, როგორც ვიჭირობ, ლუქსიდან გამოსვლის შემდეგ გადამალა თავის კაიუტაში.

— გაქვთ თუ არა რაიმე კონკრეტული წინადადება შემდგომი ოპერატიული მუშაობისათვის?

— მაქვს, ვიდრე იგორ ვიშნევსკის მოქმედების დეტალურად შესწავლას შევუდგებით, საქიროდ ვთვლი ყველაფერი გადავდოთ და, უპირველეს ყოვლისა, გულმოდგინედ გავჩხრიკოთ ის კაიუტა, სადაც ეს ოფიციალტი გემზე მოსვლის შემდეგ დაბინავდა.

ხმელეთიდან პროკურორის სანქციის მიღების შემდეგ ოპერატიულმა მუშაკებმა დაუყოვნებლივ დაიწყეს ოფიციალტის იგორ ვიშნევსკის საცხოვრებელი კაიუტის ჩხრეკა.

უმცროსი ლეიტენანტის ედუარდ ხმარას ვარაუდი გამართლდა: ჩხრეკის დაწყებიდან ხუთი დღე წუთი არ იყო გასული, რომ გამოძიებულმა ევგენი კრიმსკიმ კუთხეში მიდგმულ მოგროძო კარადიდან სისხლში ამოსვრილი პერანგი გამოიღო.

რა თქმა უნდა, ჭერ კიდევ ძნელი იყო იმისი თქმა, რომ ეს სისხლი აუცილებლად გოდერძისა იყო. ძიებისათვის ამ საინტერესო შეკითხვაზე პასუხის გაცემა იმის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი, როცა წინაფარს ლაბორატორიაში გადაგზავნიდნენ და სისხლის ჭგუფისა და ქიმიური ანალიზის დასკვნას მიიღებდნენ.

ვინ შეიძლება ყოფილიყო გოდერძის მკვლეელი: იგორ ვიშნევსკი, რომელიც თავის გამართლებას მხოლოდ იმ ვერსიით ცდილობდა, რომ მას თითქმის შემთხვევით გაეჭრა ხელი და სისხლით მოსვარა წინაფარი, თუ სეგედა, რომლის დაპატიმრების ცნობას მაიორი ვლასოვი უკვე კარგა ხანია მოუთმენლად მოელოდა ხმელეთიდან?

თუმცა ვინ იცის, ეს ორი ადამიანი, ადვილი შესაძლებელია, წინასწარ შეთანხმებული გეგმის მიხედვით მოქმედებდნენ და ვიშნევსკისა და სეგედასაც დანაშაულში ერთნაირი ბრალი მიუძღოდათ!

ღამის პირველი საათი სრულდებოდა. კაბინეტში მოულოდნელად ტელეფონის ზარის წკრიალი გაისმა.

მაგიდასთან დახრილი პოლკოვნიკი გასწორდა, ტელეფონის ყურმილი აიღო და მოდელი ხმით ჩაილაპარაკა:

— გისმენთ. სამებრო განყოფილების უფროსს პოლკოვნიკ ვლადიმერ ალხიმოვს ოპერატიული ჯგუფის ხელმძღვანელი ბორის მაცენკო ურევავდა.

— ამხანაგო პოლკოვნიკო, ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ სასტუმრო „გაზაფხულში“ არავითარი ცვლილება არ მომხდარა—ოპერატიული მუშაკები თავიანთ პოსტზე იმყოფებიან და სეგედას დაბრუნებას უცდიან.

— შეგიძლიათ თუ არა ზუსტად მომახსენოთ, რამდენი საათი გავიდა რაც სასტუმროში იმყოფებით?

— რვა საათი. პოლკოვნიკი ჩაფიქრდა, სათვალეს ზემოდან ახედა კედელზე დაკიდებულ საათს და ჩუმი ხმით ჩაილაპარაკა:

— სასტუმრო „გაზაფხულში“ სეგედას ცდას,

როგორც ეტყობა, არავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს... თქვენ შეგიძლიათ დაუყოვნებლივ გააუქმოთ ყველა პოსტი და ოპერატიული მუშაკები გაანთავისუფლოთ!

— ამხანაგო პოლკოვნიკო...

— მოითმინეთ!—ვლადიმერ ალხიმოვმა მაშინვე შეაწყვეტინა სიტყვა მაცენკოს.—ეჭვიტანალი სეგედა მტად გამოცდილი და ეშმაკი დამნაშავე ყოფილა. მან შესძლო მოხერხებულად მოვეტყუებინეთ ყველა... „გაზაფხულში“ დაბინავებით ამ კაცმა, ცხადია, ძიების მთელი ყურადღება სასტუმროსაკენ გადაიტანა, თვითონ კი ისარგებლა ამით და ფარულად გაიპარა ქალაქიდან...

პოლკოვნიკი შეყომანდა, სათვალეს ზემოდან ისევ ახედა საათს და მტკიცე ხმით ჩასძახა ურმილში:

— განთავისუფლდებით თუ არა, ლეიტენანტ ფროლოვთან ერთად დაუყოვნებლივ გამოცხადდით სამებრო განყოფილებაში... შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს, რომ ახალი ოპერატიული გეგმა შევიმუშაოთ სეგედას დასაპატიმრებლად.

მისილ სეგედა მეორე დღეს დააპატიმრეს ოდესაში.

ძიებისათვის მალე ნათელი გახდა, რომ გოდერძის მკვლელობაში არც სეგედასა და არც ვიშნევსკის არავითარი ბრალი არ მიუძღოდათ. თბომავალ „ცისარტყელას“ ლუქსში მომხდარ მკვლელობაში, როგორც ჩანდა, ვიღაც სხვა, ეშმაკურად შენიღბული დამნაშავე იყო გარეული, რომლის შესახებ ჭერ კიდევ არაფერი არ იცოდა ვლასოვმა.

(დასასრული იქნება)

ლოცარი რამ ემართებათ ბავშვებს ამ ბოლო დროს. მოზრდილებმა, უფრო კი იმათ, ვისი ფანჯრებიც ეზოს მხარეზეა, დიდი ხანია შეამჩნიეს ეს ცვლილება დაუცხრომელ ბიჭუნებსა და გოგონებს. ათო-ათორმეტი წლის წინათ ნამდვილი სტიქიური უბედურება იყო ფანჯრების ქვეშ დიდიდან საღამომდე ატეხილი ხმაური, სირბილი და ყრიაპული. არაფერი სჭირდა — არც გაწყრომა, არც დარიგება. ან რას იზამდი, ბავშვი ყველგან ბავშვია. ჰოდა, დიდებიც იძულებული იყვნენ თავის ტკივილის დასაყუჩებლად პირამიდონი მიეღოთ.

დღეს კი პირამიდონს შეიძლება აღარ მიმართო. ყოველდღიურად, ერთსა-ღაიმავე დროს — 17.00 საათზე ეზოებში საოცარი სიწყნარე ისაღვტურებს.

მეღვთვეები კმაყოფილი არიან. კმაყოფილი არიან მეზობლებიც. კმაყოფილი არიან მშობლებიც. ბავშვებს საქმე გაუჩნდათ — ისინი ტელევიზორს უყურებენ. ალბათ ყველა არა, მაგრამ უმრავლესობა უყურებს; მათი რიცხვი კი, ვინც კვლავინდებურად ონაგართა ძველი ტრადიციების ერთგული რჩება და ტელევიზორის ეკრანის წინ დარბაისილურად ჯდომას ისევ თამაშსა და სირბილს ამჯობინებს, სულ უფრო და უფრო მცირდება.

ტელევიზორმა გააკეთა ის, რის გაკეთებაც ვერაფერს ვერ შეძლო — მოათვინიერა ბავშვები. ახლა ისინი საათობით სხედან ეკრანის წინ და აღარავის აწუხებენ. როგორც გამოანგარიშებამ გვიჩვენა, დღეს ბავშვების ტელემაყურებელთა შორის მტკიცედ უჭირავთ მეორე ადგილი; მათზე უფრო ხანგრძლივად ეკრანის წინ მართო პენსიონერები სხედან.

ჩვენ ვესტუმრეთ მოსკოვის ფრუნზეს რაიონის 29-ე სკოლას.
— გიყვართ თუ არა ტელევიზორის ყურება? — ვკითხეთ მეხუთე „ა“ კლასის მოსწავლეებს.

კლასში ოცდათექვსმეტი ბავშვია, ყველა სხვადასხვაგვარი ხასიათის — დინჯები და ცელქები, ბუჭიები და ზარმაცები, მაგრამ ყველა ისინი ტელევიზორის მხურვალე თავყანისმცემლები აღმოჩნდნენ. ისინი ლაპარაკობდნენ გატაცებით, არ აცდიდნენ ერთმანეთს. ზოგჯერ ისინი მოგვაგონებდნენ მოზრდილებს შემოქმედებითი დისკუსიების დროს, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უფრო მეტად ხმაურობდნენ.

ღიახ, თუ ჩვენს თავს ასეთივე ასაკში მათ შევადარებთ, ეს შედარება ჩვენს სასარგებლოდ როდი იმეტყველებს. მათ მეტი იციან, ლაპარაკობენ უკეთესად. და ეს არც არის საკვირველი. მათი ცოდნა შეავსო კინომ, რადიომ, ტელევიზორმა. განსაკუთრებით ბევრი რამ შესძინა მათ ტელეხედვამ. ბავშვები იცნობენ გამოჩენილ მომღერლებს, მოცეკვავეებს, სპორტსმენებს, ლაპარაკობენ იმაზე, თუ როგორ ცხოვრობს ახლა თავისუფალი განა. მათ იციან, თუ როგორ ნადირობენ ვეშაპებზე, როგორ აშენებენ მსხვილბანელიან სახლებს, როგორი ფასიანებია მოდაში და რა პიესებს უჩვენებენ თეატრებში. მათ იმდენი რამ იციან, რომ ჩვენ არც დაგვესიზმრებოდა. ჩვენი დროის ბავშვებთან შედარებით ისინი ნამდვილი ენციკლოპედისტები არიან.

ერთ მხრივ ეს გვახარებს, მაგრამ მეორე მხრივ...
— კვირაში რამდენჯერ უყურებთ გადმოცემებს?
— ყოველდღე.
— რამდენი ხნის მანძილზე?

და აი, ირკვევა, რომ ბავშვების 75 პროცენტი ტელევიზორს დღეში რეგულარულად საშუალოდ სამნახევარი-ათხუთი საათი, ზოგი მათგანი კი ხუთ-ექვს საათსაც, ე. ი. თავიდან ბოლომდე. ისინი თითქმის მთელს თავისუფალ დროს ეკრანთან ატარებენ. ისინი მოიჩქარიან სკოლიდან შინ, ნაჩქარევად სადილობენ, ასევე ნაჩქარევად ამზადებენ გაკვეთილებს. ჩქარობენ იმიტომ, რომ 17.00 საათამდე ყველაფერი უნდა მოასწროს.

სამინათო დავალებების შესრულებას ბავშვები დღეში საშუალოდ ორ-სამ საათს ანდობენ. სეირნობენ? — ძალიან ცოტას, ზოგჯერ სულაც არ არიან ჰაერზე. ვითხოვდნენ? — საამისოდ დრო არა რჩებათ. შინ უფროსებს ეხმარებიან? ვერ ასწრებენ.

რამდენიმე წლის წინათ მასწავლებლები და მშობლები ამტკიცებდნენ, რომ ბავშვები გადატვირთულნი არიან სასწავლო პროგრამით. პროგრამები ვადასინჯეს, ბავშვებიც შედარებით უფრო განიტვირთნენ, და როგორც აღმოჩნდა, ჯერჯერობით მხოლოდ ტელევიზორისათვის. ღიახ, იგი ვადაიქცა ბავშვების დროისა და ენერგიის შთანთქმეულად, იმ დროისა და ენერგიისა, რომლებიც ასე აუცილებელია მათთვის, მიაჭაჭვა ისინი სკამს, გადაიქცა მათი ძილის დამფრთხობლად. ბავშვები გვიან იძინებდნენ ისიც მხოლოდ მაშინ, როცა დიქტორი მომხიბვლელი ღიმოლით ამბობს: „ღამე მშვიდობისა“.


ჩვენ ვკითხეთ ბავშვებს, ნახეს თუ არა უკანასკნელი გადმოცემა „მზიარულთა და საზრიანთა კლუბი“. მათ ერთხმად გვიპასუხეს:

— დიახ!
— რომელ საათზე დამთავრდა ეს გადმოცემა?
მეხუთე „ა“ კლასმა ერთხმად და ზუსტად გვიპასუხა:
— პირველის ოც წუთზე.

კლასის ხელმძღვანელი ს. კაზანცევა, რომელიც ამ საუბარს ესწრებოდა, ვაოცდა. მას წარმოედგინა არ ჰქონდა, რომ მისი აღსაზრდელები ამდენ დროს ხარჯავდნენ ტელევიზორის ყურებაში, ასე გვიან წვედობდნენ დასძინებლად, ასე ცოტას სეირნობდნენ...

დაფიქრებულა ვინმე იმაზე, თუ რა გავლენას ახდენს ტელეხედვა ბავშვების ჯანმრთელობაზე?

ფ. ფ. ერისმანის სახელობის ჰიგიენის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის



ბავშვებისა და მოზარდთა ჰიგიენის განყოფილება მთელი წლის მანძილზე სპეციალურ გამოკვლევებს ატარებდა. დასკვნები სანუგეშო როდი გამოვიდა. ტელეხედვით მეტისმეტი გატაცება დამლუპველად მოქმედებს ბავშვთა ცენტრალურ ნერვულ სისტემასა და ფსიქიკაზე. ტელევიზორის წინ ჯდომა თავია კვალს სტოვებს.

— დიახ, ეს ასეა, — ამბობს ინსტიტუტის მეცნიერი მუშაკი ე. გლუშკოვა, — სასოლო გაკვეთილი ტყუილად როდი გრძელდება მხოლოდ ორმოცდახუთი წუთი... ბავშვები მალე იღლებიან, ვერ უძლებენ დიდ დატვირთვას. ტელეხედვის ნუშაქებზე სამედიცინო თვალსაზრისით რომ შეხედონ იმას, თუ როგორ უყურებენ ბავშვები სპეციალურ საბავშვო გადაცემებს — რეპორტაჟებს, საუბრებს და ა. შ. ისინი ბევრ სიხალს აღმოაჩინდნენ თავიანთის. პირველ რიგში კი იმას, რომ, მაგალითად, ოცწუთიანი ნაკლებად დინამიური საუბარი სქემებისა და რუკების გამოყენებით ისევე ქანცავს ბავშვს, როგორც სრულმეტრაჟიანი, ორსაათიანი ფილმის ყურება.

ამას ამბობენ ექიმები. დღეს, როცა თქვენი ბავშვები, როგორც ყოველთვის, ტელევიზორის წინ ჩამოსხდებიან, გაიხსენეთ მათი ნათქვამი.
მაგრამ ბავშვის ორგანიზმის დალა — ეს მხოლოდ ერთი მხარეა მეხუთე „ა“ კლასისა და ტელევიზორის პრობლემისა. არის კიდევ მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი.

ღიახ, ტელეხედვამ გააფართოვა ბავშვთა თვალთახედვა, გაამდიდრა ისინი ცოდნით. თქვენთან საუბარში მათ შეუძლიათ, სხვათა შორის, აქსენონ კიბერნეტიკა, მემკვიდრეობითი თეორია, ანდა განვიცხადონ, რომ თქვენ, ვთქვათ, არა გაქვთ სივრცობრივი აზროვნება (ამ ასაკში ისინი ადვილად ითვისებენ და იმახსოვრებენ ყველაფერს). მაგრამ თავს ნუ მოვიტყუებთ...

ბავშვებმა ნახეს ფილმი „გვეგნი ონეგინი“. დამახსოვრეს სიუჟეტი. მოისურვებენ ამის შემდეგ ისინი დიდი პუშკინის ამ გენიალური ნაწარმოების წაქითხვას ან ობრევის წასვლას? ტელევიზორში რომ ნახა ფილმი „მუმუ“, იმავე მეხუთე „ა“ კლასმა განაცხადა, რომ მათ აღარ აინტერესებთ ამ მოთხრობის წაქითხვა, უფრო სწორედ, ისე ძალიან აღარ აინტერესებთ. ბავშვის გონება რაღაც იტენაირად არის მოწყობილი, რომ როცა მისთვის გასაგები ხდება ნაწარმოების სქემა და პრიმიტიულად აღქმული დედაზარი, იგი დარწმუნებულია, რომ საგანი უკვე ბოლომდეა შეცნობილი, და მათი დაინტერესება პირველწყაროთი (ამ შემთხვევაში „მუმუს“ წაქითხვა) მეტად ძნელი საქმეა. ეს გასაგებიცაა, რადგან ამ დროს სამყაროს შეცნობისა და ცოდნის დაგროვების პროცესი ბავშვებში წარმოდგენილი ინტენსიურობით მიმდინარეობს, ისინი ხაზად ეწაფებიან ყველაფერს ახალს და მათ აღარ სცალიათ იმი-სათვის, რასაც უკვე აღრე გაეცვენ. მაგრამ ეს გაცნობა ხომ მეტად ზერულე იყო.

ტელეხედვა ბავშვებს იტაცებს ცხოვრებისა და სამყაროს შესახებ ინფორმაციების სიუხვით. და აი, ჩვენც წამდამუშუმ გვესმის ბავშვებისაგან: „ჩვენ ეგ ვითო. ჩვენ ეგ მოსმენილი გვაქვს, ჩვენ ეგ ვნახეთ.“ დიახ, კაცმა რომ თქვას, მათ ველარაფრით ველარ გააკვირვებ.

— ბავშვები რომ წიგნებს ისე აღარ ეტანებიან, ეს აშკარაა, — გვითხრა მოსკოვის 57-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგებ ლ. რაბინოვიჩმა, — ერთ მხრივ, მათ დრო არა აქვთ, მთელ თავისუფალ საათებს ტელევიზორთან ატარებენ. მეორე მხრივ, იმავე ტელეხედვის მიზეზით, მათ უკვე მოასწრეს ბევრი რამის ნახვა. ეს ამბავი კი ჩვენ, მასწავლებლებს, გვაშფოთებს, რადგან ჩვენ ამოცანას როდი შეადგენს დიდი ტანტების აღზრდა, ისეთი ადამიანების აღზრდა, რომლებმაც ყველაფერი იციან და... თანაც არაფერი არ იციან.

რა თქმა უნდა, ტელეხედვა თავისთავად შესანიშნავი მოვლენაა, მაგრამ ტელევიზორი შეიძლება მეგობრივად სულ ადვილად გადაიქცეს მტრად. ამა



ასტრონომია მეორე კროფსინი

იმ ასტრონომებიდან, რომლებმაც სახელი გაითქვეს თვალსაჩინო აღმოჩენებით, ბევრს არც ჰქონდა „ოფიციალური“ ასტრონომიული განათლება. ისინი თვითმასწავლებლები იყვნენ. მათი არსებობის წყაროს ხშირ შემთხვევაში წარმოადგენდა პროფესია, რომელიც ძალიან შორს იდგა ასტრონომიისაგან.

აი, რამდენიმე მაგალითი: ბესელმა, სახელგანთქმულმა ასტრონომმა და მათემატიკოსმა, რომელმაც ერთ-ერთმა პირველთაგანმა განსაზღვრა მანძილი ვარსკვლავებამდე, თავისი კარიერა კანტორის მოხელის თანამდებობით დაიწყო... ლუდის მომღვებელმა ლასელმა სახელი გაითქვა ურანისა და ნეპტუნის თანამზავრების აღმოჩენით. მუსიკოსმა ვილიამ გერშელმა არავითარი კვალი არ დატოვა მუსიკაში, მაგრამ სამაგიეროდ მისი სახელი ამჟამად ასტრონომიის ისტორიაში; მეთუნეუქვე სვიფტი — კომეტების ცნობილი „დამჭერი“ გახლდათ, მოსამართლე შრეტერი — პლანეტური ასტრონომიის ერთ-ერთი ფუძემდებელია. მეფეთაქე შვაბემ აღმოაჩინა მზის აქტივობის პერიოდულობა, ხოლო ღურგალმა ჰოლმა — მარსის თანამზავრები...

სპეციალობათა ეს თაიგული ადვილად შეიძლება უფრო მრავალფეროვანი გახადდეს, თუ გავიხსენებთ ინგლისელ ხუცესს ბრადლეეს, კაპიტან შალეს და მრავალ სხვას; თვით დიდი კოპერნიკის სასულიერო უწყების უბრალო მოხელე იყო. წარსულში, როცა უნივერსიტეტები ჯერ კიდევ არ ამზადებდნენ სპეციალისტებს ასტრონომიაში, გზას ამ „ციური“ მეცნიერებისაკენ ყოველთვის იკვლევდნენ მხოლოდ თვითგანვითარების მეოხებით. ისინი ამ საქმის ტრფიალნი და მოყვარულნი იყვნენ. ჩვენს დროში კი ყველა სპეციალო-

ბა როდი ითმენს „მოყვარულობას“ — აბა წარმოვიდგინოთ, რამდენი ავადმყოფი გაბედვს თვითნასწავლ ქირურგთან მისვლას? მაგრამ, „მოყვარულნი“ თანამედროვე ასტრონომიაში მეტად საჭირო და სრულყოფილებიანი მოღვაწეები არიან. მათთვის ასტრონომია თუშეცა წარმატად, მაგრამ მაინც მეორე პროფესიაა, რაც, სხვათაშორის, სულაც არ ამცირებს მათი გამოკვლევების მნიშვნელობას. ჩვენს ქვეყანაში მოყვარულმა ასტრონომები, მრავალ სპეციალისტ ასტრონომთან ერთად, გაერთიანებული არიან სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან არსებულ საქავშირო ასტრონომიულ-გეოდეზიურ საზოგადოებაში.

პრისტის დაბნელება ქალწული მარიაში

რეფორმები სხვადასხვანაირი არსებობს. მაგრამ ყველაზე სულელური და, საბედნიეროდ, განუხორციელებელი იყო ის რეფორმა, რომელიც ეკლესიის ცალკეულმა მესვეურებმა წამოაყენეს XVII საუკუნის დასაწყისში. „წარმართული“ თანავარსკვლავედები, რომლებიც ძველი სამყაროს მითითური გმირების სახელებს ატარებდნენ, დიდი ხნის მანძილზე მოსვენებას უკარგავდნენ „ეკლესიის მამებს“. ამ მამებიდან ზოგიერთები, ისეთ უძველეს თანავარსკვლავედებს, როგორც არის შერკულესის ან პერსის თანავარსკვლავედები, თვლიდნენ „კაცთა მოღვმის ცდუნებად“, სხვები — „უმშაკეულად“ და ანათემას უთვლიდნენ მათ. აი რატომ იყო წამოყენებული წინადადება, რომ „წარმართული“ ცა „ქრისტიანულად“ გადაექციათ. ამ მიზნით თორმეტ ზოდიაკურ თანავარსკვლავედს უნდა დარქმეოდა თორმეტი მოციქულის სახელი, მზე — იესო ქრისტედ უნდა წოდებულიყო, მთვარე — ქალწულ მარიამად, ვენერა — იოანე ნათლისმცემლად, იუპიტერი — მოსედ, სატურნი — ადამად და ა. შ.

მაგრამ არა მარტო ასტრონომებს შორის, არამედ შედარებით უფრო ფიზიკალ მოაზროვნე ხუცეებს შორისაც კი „ცის გადაკეთების“ ამგვარმა წინადადება ვერავითარი თანაგრნობა ვერ დამსახურა. შეიძლება კაცი შერიგებოდა, ვთქვათ, პეტრესა და პავლეს თანავარსკვლავედებს, მაგრამ ახალი ნომენკლატურის დროს გარდაუვალი ფრაზები, როგორც არის „იესო ქრისტე ჰორიზონტს ამოეყარა“, ან „იესო ქრისტეს დაბნელება ქალწული მარიამით“ უდერდა არა მარტო სულელურად, არამედ მკრებელურადაც.

მინ ლაპარაკობს ყველაზე მატს


ათეული წლების განმავლობაში ქალებს არწმუნებენ, რომ ისინი მამაკაცებზე მეტს ლაპარაკობენ და ეს მათაც სჭირათ. და აი, რამდენიმე ლინგვისტმა თავს იდვა შრომა გამოერკვია, თუ რამდენს ლაპარაკობს ადამიანი მთელი დღის მანძილზე. რასაკვირველია, მათ ისიც აინტერესებდათ გაეგოთ, თუ რამდენჯერ უფრო მეტს ლაპარაკობენ ქალები მამაკაცებთან შედარებით. შედეგი ხალცარი აღმოჩნდა 16-17 საათის განმავლობაში ქალები ლაპარაკობენ 8 საათამდე, მამაკაცები კი — 8,8 საათს, ე. ი. 10 პროცენტით მეტს. ლაპარაკში ქალი ყოველდღიურად 18 ათას სიტყვას ხმარობს, ხოლო მამაკაცი 81 ათასს. ენათმეცნიერები აღნიშნავენ რომ ქალი თავის აზრს გამოსთქვამს მოკლედ, რისთვისაც მამაკაცთან შედარებით იყენებს სიტყვების მცირე რაოდენობას.

ზემოთმოყვანილი მონაცემები ეხება გერმანიის ფედერატიული რესპუბლიკის ქალაქების მოსახლეობას. საფრანგეთში ამასთან შედარებით 10 პროცენტით მეტს ლაპარაკობენ, ამავე დროს, ნაკლებ დროსაც ხარჯავენ, რადგან ლაპარაკობენ უფრო ჩქარა. („ფოლკსტიმე“)

სცადეთ და ადამიანს დღეში ოც-ოცი ტაბლეტი ვიტამინი „C“ მიეცით — სარგებლობის მაგიერ, იგი მხოლოდ ზიანს მოუტანს მას. ტელევიზორისა და ბავშვების პრობლემას სერიოზულად უნდა მივუდგეთ. ყოველდღიურად რამდენიმე საათის მანძილზე უქმად ჯდობა უკრანის წინ ბადებს გონებრივ სიზარმაცეს, აზროვნების მოღუწებას, ხელს უწყობს ბავშვის გამოთავყანებას. ძვირფასო ძიებო და დეიდებო! როგორც ცნობილია, ბავშვები ცხოვრებას სწავლობენ არა მარტო სკოლაში, არამედ ჩვენგანაც. ჰოდა, ჩვენგან ხომ არ ვაღიარებთ მათ უხეირო ჩვეულებას: კამის დროს ტელევიზორისკენ ექირა, შურნალის ფურცელა და ტელევიზორში ყურება? ჩვენგან ხომ არ ისწავლეს ტელევიზორში ყველაფრის ზედინზედ ყურება? ჩვენ ხომ არ ვართ დამნაშავენი იმაში, რომ როცა ეკრანზე აღმოჩნები ერთმანეთს კოცნიან, ბავშვები ხითხითებენ? მათ ჯერ კიდევ არ ესმით თუ რა დიადი გრძნობით — სიყვარულის გრძნობით არის დაჯილდოებული ადამიანი. ისინი ამას, რა თქმა უნდა, გვიან გაიგებენ — ყველაფერს თავისი დრო აქვს. მაგრამ მამ რაღას სწედან ისინი ახლა ჩვენთან ერთად ტელევიზორის ეკრანის წინ? კინოთეატრებში შევეჩვიეთ გამოკრულ განცხადებებს „ბავშვები თქვენსე-

ტი წლის ასაკამდე ამ ფილმზე არ დაიშვებიან“. კონტროლიორები მკაცრად ათვალთვლებენ ბავშვებს, თვალთ ზომავენ მათ ასაკს. ბავშვები ზოგჯერ ახერხებენ კონტროლიორების მოტყუებას, მაგრამ დაბრკოლება, თუნდაც ასეთი არასრულყოფილი, მაინც არის. შინ? შინ როგორღა ვიქცევით? ვრთავთ ტელევიზორს და დამშვიდებული სინდისით გვერდით ვისვამთ ბავშვებს, რათა ისინი ტყუილბრალოდ არ დაბოლდნენ უზოში. ტელევიზორი შემოვიდა ჩვენს ცხოვრებაში. მან ფეხი მოიკიდა თითქმის ყველა სახლში, ყველა ოჯახში. ყოველ ამ სახლსა თუ ოჯახში არაა ბავშვებიც ისინი ჩქარობენ გავეთილების მომზადებას, რომ სასწრაფოდ ჩამოსხდნენ მოციმციმე ეკრანის წინ. ამას, როგორც ვამბობდით, აქვს თავისა დადებითი და უარყოფითი მხარეები. ამით დაინტერესდნენ ექიმები, შეუფოთდნენ მშობლებიც. სდუმს მხოლოდ პედაგოგთა — მეცნიერება აღზრდის შესახებ. მისთვის თითქოს არ არსებობს ტელეხედვა. დადგა დრო ყველამ ერთად, სერიოზულად მოვილაპარაკოთ ბავშვებისა და ტელეხედვის შესახებ. ეს მარტო შეხუთე „ა“ კლასისათვის როდი იქნება სასარგებლო.

მარგარიტა სმირნოვა („სოვეტსკაია კულტურა“)





გაქაზუნა უკეთესა

სვანლი მკვირი

ბეტი რომ წავიდა, აღარ ვიცოდი მუშაობას როგორ უნდა შევდგამოდი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ვისაც რაიმე დიდი მიზანი აქვს დასახული, მცირედით უნდა დაიწყოს. მე, ალბათ, უმდაბლესი წერტილიდან დაწყება მეწერა. მოკვიდე ხელი ცოცხს და ჭაგრიხს და გიჟვარდის. მალე ერთ ოთახს სულ კრიალი დავაწებინე. არც მეორე ოთახისათვის დამიკვლია ხელი. პირდაპირ საამაყოლ მქონდა საქმე. ცოცხიც გვერდზე მივდე და ის იყო დერეფანში ფეხის ხმა გაისმა. მწვრთნელი ვალანსი გახლდათ. გასახდელი გაიარ-გამოიარა, ოთახები შეათვალიერა და კმაყოფილმა თავი დააქნია.

- მგონი, კარგად შეეწყვე ახალ ადგილს, არა?
- ძალას არ დავიშურებ თქვენი დავალებების შესასრულებლად.
- ყველაფერი რიგზე იქნება, შეილო — მიპასუხა ვალანსმა.
- ის გასასვლელისაკენ გაემართა, მაგრამ კართან შეჩერდა.
- რა იქნება, რომ გადაიცვა და დანარჩენ მოთამაშეებს შემოუერთდე!
- წამო, ხომ უნდა ვიცოდე, რა ბიჭი ხარ. აბა ვნახოთ მოედანზეც თუ ასეთი მარჯვე იქნები!
- სახე გამბადარა.
- ერთ წუთში მზად ვიქნები-მეთქი, — არ დავახანე პასუხი. მალე, პირველად ჩემს სიცოცხლეში, ნამდვილი მწვრთნელის ხელმძღვანელობით ვვარჯიშობდი. თავს არ ვიშოვავდი, რომ მისი მითითებანი შემესრულებინა. გულში ჩემზე ბედნიერი ბიჭი ქალაქში არ მეგულებოდა.

ჩვეულებად მქონდა კლუბის გასახდელის შესასვლელთან დაკიდებულ განცხადების დაფასთან შევჩერებულყავი. ზოდა, ერთხელ, საკმაოდ ძლიერ კლუბ „ბიორნილისთან“ თამაშის წინ, ვკითხულობ ძირითადი და სათადარიგო მოთამაშეების სიას. ჩაყვები ნაცნობ სახელებს და უტყვი მესდაკრული-ვით გავეშეშდი — დუბლების სიაში ჩემი გვარი ამოვიკითხე. უნდა ვენახა ჩემი გაკვირება. მაშინ ხომ თქვენსმეტე წლისაც არ ვიყავი, იმ წამსვე ვიფიქრე. მამას ეს ამბავი როგორ გაეხარებდა-მეთქი და წვრთნის დამთავრებისთანავე საპარიკმახეროსაკენ გავეშურე; გზაში ბეტი შემომხვდა. აბა ასეთი ამბავი ენაზე როგორ დამადგებოდა! ბეტის ძალიან გაეხარდა და მითხრა — შენს საყურებლად აუცილებლად მოვალა.

მამა ის იყო საპარიკმახეროს კეტავდა. ჩემმა ამბავმა ნამდვილად გაახარა, მაგრამ მაინც მითხრა:

- მე მგონი, სათადარიგო გუნდში თამაში შენთვის ჭერ კიდევ ადრეა. თუმცა, რა ვიცი, მწვრთნელებმა უკეთ იციან, რასაც აკეთებენ!
- როგორც იქნა, დადგა ნანატრი შაბათი, შინდორზე „სკოტ სიტის“ ფორმაში რომ გამოვჩნდი, ტრიბუნებზე ტაშმა იგრიალა. ეს ჩემი სკოლის ამხანაგები გახლდნენ, დიდ წარმატებას მილოცავდნენ. მატჩის შემდეგ ყველა მეუბნებოდა, კარგად ითამაშეო.
- ყველაზე უფრო მაინც ის მაინტერესებდა, მამაჩემი რას მეტყვოდა. სახლში იმ დროს მივედი, როცა მამა საღამოს გაზეთებს კითხულობდა.
- სტენლი, — დაიწყო მან, — შენ კიდევ ბევრ მატჩს ითამაშებ, ზოგს ამაზე უკეთესად, ზოგს — უარესად, კარგად ჩატარებული მატჩი ყოველთვის გემსახურება, მაგრამ ეს მთავარი როდია. არასოდეს არ უნდა დაივიწყო თამაშის დროს დაშვებული შეცდომები. შენი ნაკლი უნდა შეისწავლო, გამოახსნარო და შემდეგ არასოდეს აღარ გაიმეორო.

კლუბის ხელმძღვანელობამ კიდევ რამდენიმეჯერ მათამაშა სათადარიგო შემადგენლობაში. ჩემპიონატის დამთავრებამდე ორიოდე თვით ადრე შექცემული ვიყავი შემისრულდა.

შემდეგ სეზონში აღარავის აღარ გაჰყვირებია, რომ სათადარიგო გუნდის მუდმივი მოთამაშე ვავსდი. სეზონის დამთავრებისას, ჩემს მერს ნათამაშევი მატჩების გრაფაში ციფრი „22“ ეწერა. ასე მეგონა, ორჯერ მეტად რომ მეთამაშა, ჩემთვის დიდი ბედენა არ იქნებოდა. მაშინ რა ვიცოდი დადღილობა რა ხილი იყო!

ბოლო მატჩებში ხშირად მიხდებოდა პროფესიონალი ფეხბურთელების წინააღმდეგ თამაში. ისინი ჩემზე ბევრად უფროსები იყვნენ. აბა მე იმათ რატოლს დავუდებდი, მაგრამ ყოველ გამოსვლაზე უფრო დაჭერებულად ვთამაშობდი და ერთხელ გულში ჩავითქვი, ჩემი ერთ-ერთი „უღიღესი“ პრობლემა გადაიმეტრა: მარჯვენა გარემარბს, მოწინააღმდეგის კარისაკენ რომ გაიჭრება, უკანასკნელ წელდესავით მარცხენა მცველი შეეჩებება ხოლმე; თუ გინდა რომ კარისაკენ გახსლტე, ამ დამცველს მისი სუსტი მხრიდან, მარჯვენა მხრიდან უნდა აუქციო გვერდი.

ხანდახან გამომდიოდა კიდევ ეს, მხოლოდ ბოლომდე არ ვიყავი დარწმუნებული, რომ ჩემი მოქმედება სწორი იყო. ისე ღრმად ჩამებეჭდა ტენიში ეს ამბავი, რომ ხანდახან დამეც კი მედვიძებოდა. მაგრამ ერთხელ თითქმის „თავი გამინათლა“, ისე იყო ჩემი საქმე.

სათადარიგო შემადგენლობის ერთ-ერთ ჩვეულებრივ მატჩში მარჯვენა ფრთაზე ვთამაშობდი. „მიჭერდა“ ერთი ზორბა ტანის მცველი. მისგან თავის დადგენა არც ისე იოლი საქმე იყო. ბურთს ხშირად მართმევედა ხოლმე. ზოდა, სწორედ მაშინ მომივიდა თავში აზრი — მის თავდასხმას კი არ დავლოდებოდი, თვითონ მე წავსულიყავი შეტევაზე. ბურთი მივიღე, ელვისებურად წინ გავიჭერი და პირდაპირ მცველისკენ გავემართე. კოჭებში შევატყვე, ჩემს ჩანაფიქრს ვერ ხვდებოდა. უკვე საკმაოდ მიფუხანლოვდი, ვგრძნობდი, ხელით ვეხებოდი. მოულოდნელად ტანი შემოვატრიალე, ვითომ მარცხენა მხრიდან მიხდებოდა გვერდი ამეველო. მცველი ჩემს მოძრაობას ავტომატურად ახუცა. მე კი, როცა შევნიშნე, რომ სხეულის მთელი სიმძიმე მარჯვნივ გადაიტანა, არ დავახანე და საწინააღმდეგო მიმართულებით გავიჭერი: კარისკენ გზას ხსნილი იყო.

იგივე რამ მატჩის განმავლობაში რამდენჯერმე გავიმეორე. მცველისკენ ყოველთვის პირდაპირ მივიდოდი. მას ეჩვენებოდა, საფრთხე არ მედისო, რადგან მოძრაობას ვამუხრუჭებდი. მცველი ყოველთვის გაოგნებული რჩებოდა, ეს როგორ გამაცურაო. ფინტი ისე კარგად გამომიდოდა, როგორც ამას სიზმარში ვხედავდი ხოლმე.

იმ დღეს ბედნიერებით მთვრალმა დავტოვე მოედანი. მაგრამ უფრო დიდი ბედნიერება მეორე დღეს ვიგრძენი, გაზეთებში ჩემი მისამართით დაფრქვეული ხოტბა რომ წავიკითხე. კომენტატორები აზრს გამოსთქვამდნენ, სტენლი მეტიუნი სპეციალისტების მოლოდინს გაამართლებსო. ისინი დიდი ფეხბურთელის მომავალს მიწინასწარმეტყველებდნენ.

ასეთმა ქება-დიდებამ ახალგაზრდა სპორტსმენს შეიძლება თავბრუ დაახვიოს, ხოტბა და კომპლიმენტები კაცს სრულყოფისა და დაოსტატებისაკენ როდი უბიძგებს. პირიქით, უფრო ადუნებს და აბრუებს.

8. ჩემი პირველი ხელშეპირდება

თუმცა „სტოკ სიტის“ შესული ვიყავი, მაგრამ კლუბთან არავითარი ხელშეკრულება არა მქონია. ჭერ ჩვიდმეტისა არ ვიყავი და იმიტომ.

„სტოკ სიტის“ ცა ქუდად არ მიმაჩნდა და დედამიწა ქალამნად. მკაცრი, მაგრამ სამართლიანი მწვრთნელი ვალანსი ყურადღებას არ მაკლებდა. მისგან ბევრი რამ ვისწავლე. ჩემთვის დრო არასოდეს არ ეშურებოდა. მე, როგორც ფეხბურთელი, სწრაფად ვვარჯიშდებოდი. ინგლისის ბევრი პირველი ლიგის კლუბი არ მალავდა, რომ ჩემი ხელში ჩაგდება სურდა.

როგორც იქნა დადგა ჩემი სრულწლოვანების „სტორიული“ დღე. ახლა შემეძლო რომელიმე კლუბთან ხელშეკრულება დამეღო. აქამდე არავის არ ვეკუთვნოდი, არც „სკოტ სიტისაც“ კი, რომელთანაც მხოლოდ მორალურად ვიყავი დაკავშირებული.

მერედა რა გაწამაწამა ვიყავით! მამაჩემი დიდიდან საღამომდე სწავდასხვა კლუბების წარმომადგენლებთან მოლაპარაკებას უნდებოდა. არც ტომ მატერი იყო გულზე ხელდაკეფილი. ის მამაჩემს ერთი წუთით არ შორდებოდა. აშკარა იყო, რომ ინგლისის ფეხბურთის სამყაროში ჩემი სახელი უკვე დამკვიდრებული იყო.

მამაჩემი ამ დღეებში მხოლოდ იმას ფიქრობდა, არ მოვტყუვდეო. არც იყო გასაკვირი, სულ ადვილად შეიძლება ყოველი მხრიდან გადმოგდებულ მაცდურ ანკესზე წამოგებულო. მე მშვიდად ვიყავი, ძილი ერთხელაც არ გამტეხია, ვიცოდი, რომ მამა საქმეს კარგად გაუძღვებოდა. ზოდა, იმიტომ არც გამკვირვებია. მან ყოველგვარი მიკბი-მოკიბვის გარეშე რომ დაიწყო.

— შეილო, შენც კარგად იცი, რამდენი კლუბის წარმომადგენელთან მომიხდა შენს მომავალზე ლაპარაკი. ბევრ მათგანს უნდა შენი დაბეჭება. დროა ეს საქმეც მოგვაგვაროთ.

* ის. „დროში“, № 5, 6.

მამამ ჩამოთვალა რომელ კლუბებს ეჭირათ ჩემზე თვალი, ვინ რა პირობებს მთავაზობდა. მე უარადღებთ ვუსმენდი.

— „სტოკ სიტის“ არის შენს მსურველთა რიგებში, ტომ მატერმა თავისი პირით მოთხრა, მეზინია სტენლი არ დავკარგო, — დაბოლოვა მამამ.

— ახლა საქმე შენზეა, შვილო, რომელ კლუბში გირჩევენია ითამაშო?

მე მყისვე მივლოდა მეპასუხსა, მაგრამ მამამ შემაჩერა, დაფიქრდი, ნუ აჩქარდებო.

მე გადავწყვიტე „სტოკ სიტისთან“ დამელო ხელშეკრულება.

„სტოკ სიტის“ შესვლის დღეს, ყველა ფორმალობის მოწესრიგება მამაჩემს მივანდე, მე კი ერთი სული მქონდა, სანამ შინ მივირბენდი და დედას გავახარებდი. ამ დროს ზურგსუკან ხმა მომესმა:

— ავტოგრაფს ხომ ვერ მომცემთ?

სწრაფად შემოვბრუნდი. ორიოდ ნახიჯზე ბეტი ვალანსი დავინახე და სახე გამიბრწყინდა.

— მოგილოცავ სტენლი, — მითხრა ბეტემ — დღეს კმაყოფილი უნდა იყო. ხომ ავიხდა სიწმინდე.

სახლისაკენ მიმავალს ბეტიზე ფიქრი არ მშორდებოდა...

დიდხანს არ გაუვილია, რომ ნამდვილი პროფესიონალი გავხდი, ახლა ვალდებული ვიყავი მთელი დღე მეშუშავა. საქმით გავიცანი ფეხბურთის ბიზნისის ჯუნგლები.

„სტოკ სიტის“ ჩემპიონატის დროს კვირაში ხუთ ფუნტს მიხდიდა, დავხენების დღეებში კი სამს. ჩვიდმეტი წლის ბიჭისათვის ეს პატარა ფული არ იყო.

მართალია, პროფესიონალი გავხდი, მაგრამ ეს კიდევ არ იძლეოდა იმის გარანტიას, რომ ჩემი საქმე მერეც წარმატებით წავიდოდა. ფეხბურთელებს შორის კლუბშივე იყო მოქიშპეობა. აბა ვის გაუხარდებოდა, პირველ გუნდიდან რომ აუკრავდნენ გულა-ნახადს. დიდხანს არ დამჭირებია ლოდინი.

სულ მალე მეც ვიწვინე პროფესიონალი ფეხბურთელის ცხოვრების უსიამოვნო ამბები.

ჩემს ხელშეკრულებასზე მელანი კარგად არც იქნებოდა გამზრალი, რომ კლუბის ტექნიკურმა ხელმძღვანელობამ შაბათს „ბარის“ წინააღმდეგ გამოსაყვანი გუნდის სია გამოაკრა. დაფასთან მივედი, სიას თვალი ჩავავლე და გამარჯვების სიხარულმა შემიპყრო. ჩემი გვარი ძირითად შემადგენლობაში ამოვიკითხე!

ქიწაზე ფეხი არ დამიკარებია, შინ ისე მივფრინავდი. მამას ახალი ამბავი ვახარე.

— შვილო, — დაიწყო მამამ, — მე და დედაშენი ბევრს ვლაპარაკობთ ხოლმე შენს კარიერაზე. ახლა გულიდან ტვირთი ჩამოგვშორდა. შენი ფინანსური პრობლემების გადაჭრა და გვარია.

მამაჩემმა საფულე გახსნა და ერთი ათფუნტიანი ბანკნოტი ამოიღო.

— აი ეს ფული მინდა, რომ ბანკში შენი ანგარიშის საფუძველი გავხდეს. მე მგონი, ყოველ კვირაში ამას შენი ხელფასის ნახევარს მიუმატებ. დანარჩენს კი დედას მოუტან. იმაზე მეტი სიხარული რა იქნება ჩვენთვის, შენს ანგარიშს რომ ვაჭრდი.

ფულს ხელი მოვკიდე და კარისაკენ წავედი. ზღურბლთან შევჩერდი და მამას ვუთხარი.

— ეს საქმე მოგვარდა, მაგრამ ჯიბის ფულად არაფერს მომცემ?

მამას გაეცინა.

— ეგ ფულიც შენ თვითონ უნდა იშოვო. გამარჯვებისათვის განა არ გერგება პრემია? თუ შაბათს „ბარის“ მოუგებთ, შენი ჯიბის ფულიც ეგ იქნება. მთელი ფუნტი ცოტა ხომ არ არის, თუ ბედმა გიმუხთლათ და წააგეთ, საპარიკმახეროში წამებმარები და ცოტას იქაც იშოვო.

„სკოტ სიტის“ ფორმაში ჩაცმულმა პირველსავე მატჩზე ვიგარძენი, რომ ჩემპიონატში თამაში, თუნდაც ინგლისის მეორე ლიგაში, სულ სხვა იყო. მე გაცილებით უკეთ უნდა მეთამაშა, ვიდრე აქამდე, რომ სხვა ფეხბურთელების კონკურენციისათვის გამეძლო. შოდა, მეც თავს არ ვიზოგავდი, სულ წინ-წინ გავრბოდი და შეცდომას შეცდომაზე ვუშვებდი. ჩვენ ამ მატჩში გავიმარჯვეთ, ჯიბის ფული კი მერგო, მაგრამ სეზონის ბოლომდე პირველ შემადგენლობაში აღარ გამომიყვანეს.

ამ მატჩმა კარგად მასწავლა ტკუა. მატჩი უმწველია დავიწვი, მოედნიდან კი მამაკაცი დავბრუნდი.

1932 წლის ერთ თხილ ივნისის შუადღეს ქალაქარეთ გავისეირნე. ვიფიქრე, მოდი ერთი ზღვის ნაპირას დავისვენებ-მეთქი. ეშმაკმა იცის ამ დროს ფიქრებით სად არ დავფრინავდი, უცებ ჩემ წინ, წყალში ვილაცამ მოადინა ტყაპანი. ფეხზე წამოვხტი და მხიარულად მომღიმარე ბეტი დავინახე. განა იმ

წუთში ვიფიქრებდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ის ჩემი ცოლი და ჩემი შვილის დედა გახდებოდა?

— ბეტი! — მივხალმე სიხარულით. — საიდან გაჩნდი? აქ რას აკეთებ?

ბეტის ხელში გოლფის ჩოგნები ეჭირა.

— ვსერილობდი, ცოტა გოლფი წავითამაშე და უცებ დავინახე, რომ იქეტი გაშტერებული. ვიფიქრე, დროა გამოვავიხლო და ამ ქვეყანაში დავაბრუნო-მეთქი. მითხარი, ხომ კარგი დარტყმა იყო?

ამ მოულოდნელმა შეხვედრამ ძალიან გამახარა. მე და ბეტი დიდხანს ვსაუბრობდით.

მთელი ზაფხულის განმავლობაში არცერთ წვრთნას არ დავკლებივარ. თავს არ ვიზოგავდი, დიდი მონღოლებით ვვარჯიშობდი. მოუთმენლად მოველოდი იმ დღეს, როცა პირველ გუნდში მოვხვედებოდი.

ეს დღეც მალე დადგა.

კლუბის ხელმძღვანელობა კარგად იქცეოდა, რომ ძირითად შემადგენლობაში ყოველ შაბათს არ მაყენებდა. ჩემთვის ეს მეტისმეტი იქნებოდა. ასე რომ, მთელ სეზონში სულ თექვსმეტჯერ ჩავიცვი პირველი გუნდის ფორმა. ჩემმა კლუბმა მეორე ლიგის ჩემპიონობა მოიპოვა და სხვა მოთამაშეებთან ერთად მედალი მეც მივიღე. ამავე დროს თვრამეტი წლის შესრულებაც ვიწვიე.

ახლა ვფიქრობ, რომ 1932-33 წლების სეზონი ჩემს კარიერაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იყო. იმდენად დავეუკაცადი, ჩემს ძირითად შემადგენლობაში გამოყვანას აღმაცერად ვერავინ ვერ შეხედავდა. ჩემისთანა ახალგაზრდა მოთამაშისათვის ისიც ძალიან მნიშვნელოვანი იყო, რომ გაისად ჩემი კლუბი ინგლისის საუკეთესო გუნდებს უნდა შერკინებოდა.

მე თუ მკითხავთ, ჩემს წარმატებებს წვრთნაზე თავდაუზოგავ შრომას უნდა ვუმადლოდე. დაღვრილ ოფლს ტყუილად არ ჩაუვლია.

1933 წლის მიწურულში ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის ხელექციონერებმა დამადგეს თვალი. მალე კი ინგლისის მეორე ნაკრებში, ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ სპარინგ-მატჩში მარგუნეს ადგილი. ეს შეხვედრა იყო ჩემი პირველი ნახიჯი ინგლისის 11 საუკეთესო მოთამაშის კრებულისაკენ.

...1934 წელი იწურებოდა. მე ცხრამეტი წელი შემისრულდა. ივნისი იღგა ერთ საღამოს ვახშამს რომ შევექცეოდი, ვიგარძენი, დედა რაღაც მნიშვნელოვანი საუბრის წამოწყებას აპირებდა. არც შევმცდარვარ.

— შენ თუ ფიქრობ ბეტიზე, სტენლი? გიყვარს თუ არა? — ბოლოს, როგორც იქნა, დედაჩემი „მთავარ საქმეზე“ გადავიდა.

კიდევ კარგი, უკანასკნელი ლუკმის გადაყლაპვა მაკალა.

— გამიგონე, სტენლი, დროა ამ ამბავს სერიოზულად დაუფიქრდე. ახლა შენ შენი თავის მეტი არაფერი გახსოვს. წვრთნა, წვრთნა და წვრთნა. ამ ქვეყნად შენთვის მეტი არაფერი არ არსებობს. ნეტავ ცხოვრებაში ფეხბურთის გარდა, კიდევ ფიქრობ რამეზე? რას მეტყვი ბეტიზე?

— რომ არ ვიცი, რას მეკითხები? — თავი მოვიკატუნე მე.

— მშვენივრად იცი, რასაც გეუბნები, — მიპასუხა დედამ და სკამი ჩემსკენ მოაჩოჩა, — დღეს ბეტი ჩვენსას იყო და დიდხანს გელოდა. ახალ ფილმზე ჰქონდა ბილეთები. შენ ალბათ შენებურად ფეხბურთით გავრთე და ბეტი სულ გადაგავიწყდა. მე ვიცი რომ ბეტი გიყვარს, მაგრამ ეს საქმარისი არ არის. ასე შეიძლება დაკარგო კიდევ შენი რჩეული.

მე კარს ვეცი.

— ახლავე ვაგიქცევი, ბოდიშს მოვუხდი და შევეცდები დავაჭირო, ძალიან მწყინს ასე ცუდად რომ გამომივიდა-მეთქი.

— მე მგონი გვიანაა, შვილო! ბეტი ამ საღამოს მამამისთან ერთად შოტლანდიაში გაემგზავრა...

ფეხბურთმა ჩემს ცხოვრებაში პირველად დაკარგა თავისი ეზბი.

შო, რა თქმა უნდა, ცოტას ვფიქრობდი ბეტიზე. დედა მართალი იყო. მაგრამ მე მიყვარდა ბეტი, და ამიტომაც თავი დიდხანს არ მიმტვრევია, გულში ყველაფერი გადავწყვიტე...

სული ძლივს მოვიტევი.

— რას აპირებ? — შემეკითხა დედა.

— ახლავე ჩავალაგებ ჩემოდანს და შოტლანდიაში გავემგზავრები, ბეტის ხელს ვთხოვ. უკან არ დავბრუნდები, სანამ არ დავითანხმებ.

— ჩემოდანისა ნუ გედარდება. უკვე მოგიშალდა, აგერ დგას კარებთან...

დედას სწრაფად ვაკოცე და გავვარდი... მალე ბეტისთან ვიყავი, შოტლანდიაში. ჯვარი გლაზგოს მახლობლად დავიწერეთ, „რონიტონ გოლფ კლუბის“ სახლში...

(გაგრძელება იქნება)

თარგმანი დალი კობახია-შანჭიპიძემ.



გაიგეს ბიკენტი დისერტაციას იცავსო და ატუდა ერთი აურ-ზაური, დაწუსტდა დაცვისა და წინასადისერტაციო ოჯახური კოლეგიის სხდომის თარიღი.

ოჯახურ კოლეგიაზე დამტკიცდა საბანკეტო ხარჯთაღრიცხვა, სტუმრების სიები.

თვითონ ბიკენტის ხმის უფლება ჩამოერთვა და მის სიდედრს გადაეცა, რადგან ბიკენტი მახლობლების აზრით, იმდენად შთაენთქა მეცნიერებას, რომ პრაქტიკული საქმეებისათვის ფიქრის დროც აღარა ჰქონდა.

დისერტაციის დაცვის დღეს გაიგზავნა სპეციალურად შედგენილი მცირერიცხოვანი დელეგაცია ოჯახის წევრებისა. უმეტესობა კი სუფრის გაშლის თადარიგს შეუდგა.

- პელაგია, მოიტა თეფში!
- წაიდე ბოთლი!
- რა უნდა აქ კალოშებს?
- დირექტორი დახვით აქ... აქეთ მისი მოადგილე...
- შეხედე იმ გოჭს, რავა ირონიულად იცინის!
- მალე ამოუღებენ ტვინს!
- ვის ჰირდება მერე მაგის ტვინი?
- ბიკენტის!

ისმონდა შეძახილები, ისხმებოდა ქინძმარაული, იწვებოდა წიწილები და გოჭები.

ბარაქით ივსებოდა სუფრა.

იქ კი, სხდომაზე, ბიკენტი შეკითხვების ქარცეცხლს ებრძოდა და ოფლად იღვრებოდა.

იქაც ყველაფერი რიგზე იქნებოდა, ერთერთ დაშსწრეს პატარა, უდაგაცრციელი წიგნი რომ არ ამოედო და კომისიისათვის არ ეჩვენებინა.

— წყალი არ გაუვა, მოპარულიაო! — სთქვეს მათ და ბიკენტის დისერტაცია ჩაიშალა.

სასოწარკვეთილი დაბრუნდა ბიკენტი და სამ ოთახში გაჭიშული სუფრა დახვდა. ერთი ამოიხრა და გოჭს შეხედა.

— რას იკრიბები! — შემეფირა და დისერტაციით გატენილი პორტფელი ესროლა. პორტფელი გოჭს ასცდა, მაგრამ სამლიტრიანი დოქი წააქცია და ლიკლიკი დაიწყო ქინძმარაულმა.

ბოდოში!... ეს ყველაფერი სიზმარი გახლდათ სინამდვილეში კი ბიკენტის ხარისხიც მიანიჭეს და სუფრაც ისეთი გაიშალა, თვალი ვერაფერს ნახავდა იმაზე უკეთესს.

გივი კონტრიკა.

ჩაიხვლით

თამაში დამთავრდა

— დიახ, სწორედ აქ მოხდა ყველაფერი! როცა დღევანდელი სპექტაკლის ყველა ბილეთი გავყიდე, სალარო დავკედე და ამ დერეფნით ბიუროსაკენ გავემართე. სარკის წინ თმის ვარცხნილობა შევისწორე, რადგან ჩვენი თეატრის დირექტორი თავის მუშაებისაგან მუდამ მოითხოვს სანამუშოო წესრიგსა და სიფაქიზეს. როცა ამ სათადარიგო კარს ჩავერე, იგი უცებ გაიღო და მძლავრად მომხვდა თავში. სანამ გრძნობაზე მოვიდოდი, სალაროდან ფული გაიტაცეს.

— იცით,—თქვა პოლიციის ინსპექტორმა ვარნიკემ,—თქვენ კარგი მსახიობი გამოხვიდოდით. მაგრამ მე მაინც იძულებული ვარ დაგაბატებოთ. პო, რა გვარია თქვენი თანამონაწილე?

აბა მიხვდით რა ვარემოებამ მიიყვანა ინსპექტორი ვარნიკე იმ დასვენამდე, რომ ფულის გატაცებაში მოლარეც იღებდა მონაწილეობას?



შემთხვევა მატარებელში

— ბატონო ინსპექტორო, მერწმუნეთ, გაუგებრობა მხოლოდ ჩემი უყურადღებობით მოხდა.

— დამშვიდდით. ჩვენ ახლა დაზარალებულს მოვლსმენთ. თქვით, გეთაყვა.

— მე ვმგზავრობდი ამ ბატონთან ერთად ერთ კუბეში. ჭერ კიდევ ვაგონში ჩაჯდომის დროს შევნიშნე, რომ კუბეში ყველა საბარგო ბაღე სავსე იყო ჩანთებით. თავისუფალი იყო მხოლოდ ადგილი ამ ბატონის თავს ზემოთ, სადაც ჩემი ჩემოდანი დავდე. გზაში საუბარს შევეყვით. მე ვუამბე, რომ მივდივარ შვილთან, რომლისთვისაც საჩუქრად მიმაქვს ალბომები, რომლებშიც ჩაწებებულია მრავალი წლის მანძილზე შეგროვილი ძვირფასი მარკები, მერე დავიძინე. გამეღვიძა მხოლოდ მაშინ, როცა მატარებელი დანიშნულ ადგილას ჩამოვიდა.

ჩავეცი და ის იყო ვაგონიდან გამოსვლა დავაბირე, რომ შევნიშნე ჩემი ჩემოდანი იქ აღარ იყო, სადაც აღრე დავდე. მე გავხსენი იგი. ჩემოდანი სავსე იყო ბაბის სათამაშოებით. მოხარული ვარ, რომ მოახერხეთ ამ არამზადის დაკავება!

— დახეთ, ქურდობას მამბარლებს რაგვთრ ბედავთ ჩემს შეურაცხყოფას? ვაბ შეხედვრ, რუგორ ჰგვანან ჩვენი ჩემოდნები ერთმანეთს. მეც ამიტომ შემეშალა ისინი!

— და მიუხედავად ამისა, მე მაინც იძულებული ვარ დაგაკავოთ,—თქვა ინსპექტორმა ვარნიკემ.

რა საფუძველზე დაასკვნა ინსპექტორმა ვარნიკემ, რომ გაუგებრობა შეცდომით არ მოხდა?



ქველგზური ლარნაკის მოტაცება

— ვერ წარმომიდგენია, ბატონო ინსპექტორო, ვის უნდა დასჭირებოდა XVII საუკუნის ლარნაკი. მითუმეტეს, რომ მისი გაყიდვა შეუძლებელია,—აეთი სიტყვები შეხვდა ინსპექტორ ვარნიკეს მუზეუმის დირექტორი. — წუხელ ლარნაკი თავის ადგილზე იღო. ჩემს შემდეგ ოთახში გარეშე პირი არავინ შემოსულა. მე თვითონ დავკედე იგი. მუზეუმს ალაგებენ ცოლ-ქმარი ცეიზიგები, რომლებიც ჩვენთან დიდი ხანია მუშაობენ და, რა თქმა უნდა, ყოვლად შეუძლებელია მათზე ეჭვის მიტანა.

— დიახ, ბატონო ინსპექტორო, წუხელ რომ ოთახს ვალაგებდი, ყველაფერი თავის ადგილზე იყო,—თქვა ბატონმა ცეიზიგმა.

ინსპექტორი ვარნიკე წამით დაფიქრა.

— როდის აქეთ დაიწყეთ სამუშეიმო იშვიათობათა კოლექციის შეგროვება?—ჰკითხა ინსპექტორმა ვარნიკემ ცეიზიგს.

რატომ იფიქრა ინსპექტორმა ვარნიკემ, რომ ლარნაკი ცოლ-ქმარმა ცეიზიგმა მოიპარა?

(„ლილენშპიგელი“)



გარეკანის პირველ გვერდზე: სტიუარდისა ლია თოფურიან. მეოთხე გვერდზე: კალათბურთელი გოგონები. ფოტოები თ. თურქიანი და ე. პესოვისა.

რედაქტორი გ. ნატროშვილი. სარედაქციო კოლეგია: ი. გიგინეიშვილი, ს. დურმიშიძე, მ. სააკაშვილი, პ/მგ. მდივანი თ. გოგოლაძე. ი. ტაბალუა, ი. ციციშვილი, რ. ჩხეიძე, უ. ჯაფარიძე.

საბ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა | მხატვარი-რედაქტორი დ. ნოდია. ტექნიკური დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ნ. ქუთათელიძე. რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III ხარტ. ტელ.—რედაქტორის 9-54-86, პ/მგ. მდივანის—9-82-69, განყოფილებების—3-28-42 9-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. უახსნი 30 კაპ.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 31/VII-65 წ. გამომც. № 98, ქალ. ზომა 70x108¹/₂, 1,5 ქალ. ფურც. ნაბეჭდი ფურც. 4,11. საავტორო ფორმათა რაოდ. 4,79. პირობით ფორმათა რაოდენობა 4,8. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,8. ტირაჟი 24.000. შეკვ. № 2478, უე 03370

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша“ (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии.

საქ. კვ ცვ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. №14.



კავშირი

სახელსი პოლონურ ეკვანზე



„ოთხი ტანკისტი და ძაღლი“ ვარშავაში უკვე მეორედ გამოცა... ამ მოთხრობის მიხედვით ვარშავაში იღებენ ფილმს, რომელშიც გრიგოლ სააკაძის როლს ასრულებს პოლონელი მსახიობი პრესი.

— გრიგოლ სააკაძის პროტოტიპად, — განაცხადა მწერალმა, — მე ავიღე ჩემი ასეულის მეტაური ლეიტენანტი კეჟაუმაძე... მე მის ასეულში მოვხვდი სალსკის სტეპებში ბრძოლების დროს. მეტაური ხშირად გვიამბობდა საქართველოზე, გვიამბობდა ისე გატაცებით, რომ მე შორიდან შემეყვარდა ეს ქვეყანა.

პშიმანოვსკის წიგნი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“ უკვე თარგმნილია რუსულ ენაზე, მას მომავალ წელს გამოსცემს მოსკოვის სამხედრო გამომცემლობა. კარგი იქნება ეს წიგნი ითარგმნოს ქართულ ენაზეც — ესაა შესანიშნავი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც მოგვითხრობს ჩვენი ხალხების ძმობაზე, მათს უკვდავ და მგზნებარე პატრიოტიზმზე.

სურათზე — კადრები ფილმიდან.

1. და 2. მსახიობი პრესი გრიგოლ სააკაძის როლში.

3. მარცხნიდან — გუსტოკ ელენი, გრიგოლ სააკაძე, იან კოსი.



ვარშავაში გამოვიდა პოლონეთის არმიის პოლონეთის იანუშ პშიმანოვსკის წიგნი „ოთხი ტანკისტი და ძაღლი“. მასში მოთხრობილია ტანკის მამაც ეკიპაჟზე, რომელმაც თავი ისახელა გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლის დროს. წიგნი ჩვენთვის ცოცხლად აღადგენს იმ დღეებს, როცა საბჭოთა არმიამ, პოლონელ მხედრებთან ერთად, ჰიტლერელები განდევნა ვისლას მიდამოებიდან.

პშიმანოვსკის მოთხრობის გმირები არიან ტანკის მეტაური — ციმბირელი ვასილ სემინი, ტანკის მძღოლი-მექანიკოსი ქართველი გრიგოლ სააკაძე და პოლონელები — იან კოსი და გუსტოკ ელენი. მათ ბრძოლების დროს მუდამ თან დაჰყავთ ძაღლი, რომელსაც „შარიკს“ ეძახიან. ტანკის ეს ეკიპაჟი შედიოდა პირველ პოლონურ სატანკო ბრიგადაში, რომელმაც მონაწილეობა მიიღო ვარშავის განთავისუფლებაში.

ამას წინათ იანუშ პშიმანოვსკი ესტუმრა მოსკოვს. აქ მას შეხვდა თბილისელი ჟურნალისტი ლეონიდ როსტოვცევი. მწერალმა მოუთხრო ჟურნალისტს, თუ როგორ დაეხმარა მას ამ წიგნის დაწერის იდეა.

1943 წლის დასაწყისში პშიმანოვსკი საბჭოთა არმიაში მსახურობდა, როგორც ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხის მემიწე. სოფელ ვესტენიკოვთან ბრძოლის დროს ის დაიჭრა. იმავე წლის შემოდგომაზე პშიმანოვსკი უკვე პოლონეთის სახალხო არმიაშია, ჯერ ბატარეის, შემდეგ კი დივიზიონის მეტაურის მოადგილე. შემდეგ იგი საფრონტო პრესაში იწყებს თანამშრომლობას. იგი თან ახლდა საბჭოთა და პოლონელ ჯარისკაცებს ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქის — პრაღის განთავისუფლების დროს. მას შემდეგ პშიმანოვსკი აქტიურად მუშაობს სალიტერატურო ასპარეზზე, იგი უკვე თვრამეტი წიგნის ავტორია.



ИНДЕКС 76056

ეროვნული
ბიბლიოთეკა

